



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის
დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

დავით ჯიბლაშვილი

„29“ „05“ 2014 წელი

ეგზ. N1

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

2011 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 1 იანვარი

შინაარსი

შემოკლებები -----	3
ზოგადი საკითხები -----	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ -----	4
უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ -----	5
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ -----	15
უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ -----	15
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ-----	49

შემოკლებები:

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - აპარატი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ - ცენტრი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი.

ზოგადი საკითხები

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შექმნილია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის N133 დადგენილებით.

აპარატი უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესებში აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით, სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციას, მისი შესრულების მონიტორინგს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად.

უზრუნველყოფს საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

უზრუნველყოფს რეგულარულ და პირდაპირ კონტაქტებს ევროგაერთიანებებთან და ნატოსთან, საქართველოს მისიებთან, აგრეთვე თანამშრომლობს ევროკავშირისა და ნატოს წევრ და წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებში საქართველოს საელჩოებთან ანალიტიკური და მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლის მიზნით, ასევე თანამშრომლობს ნატოსთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით.

ახორციელებს მონიტორინგს ნატოსა და საქართველოს შორის პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში.

დასკვნა ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და მისი მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ 2011 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსების ფინანსურ აუდიტს (კოდები 20 00, 20 01 და 20 02). თითოეული პერიოდის აუდიტი მოიცავდა შემდეგ ანგარიშებს: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ფორმა N2), „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ (ფორმა N2-1), „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ფორმა N2-2), „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ფორმა N3), „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღებისა და გასვლის შესახებ“ (ფორმა N5), „ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ (ფორმა N6).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

აპარატისა და ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს

შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასებისას აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესახებ

აუდიტით დადგინდა, რომ აპარატისა და ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა აუდიტის პერიოდში არ წარმოებდა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007

წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული N1321 ინსტრუქციის შესაბამისად¹. აპარატისა და ცენტრის შესაბამისი სამსახურები ბალანსის შესადგენად იყენებდნენ სახაზინო პროგრამას. აღრიცხვიანობის უქონლობის გამო, როგორც აპარატში, ასევე ცენტრში, არ ხორციელდება ეფექტური კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე; არ წარმოებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა²; აღრიცხვაში არ გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები და სააღრიცხვო რეგისტრები. კერძოდ: სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობის ასახვისათვის არ გამოიყენება სალაროს წიგნი (ფორმა Nსწ-1), საბიუჯეტო ორგანიზაციაში ძირითადი აქტივების აღრიცხვის საინვენტარიზაციო ბარათი (ფორმა Nბა-2), საავანსო ანგარიში (ფორმა N015) და ა.შ.³

აპარატში არ აღრიცხება მატერიალური რესურსების მოძრაობის, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების პროცესები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.⁴

ასე მაგალითად: აპარატისა და ცენტრის 2011 წლების ბალანსების მიხედვით, მატერიალური მარაგების ნაშთი არ ირიცხება, ასევე არ იყო ასახული ბალანსის დანართის ფორმა N5-ის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღებისა და გასვლის შესახებ“ მიხედვით მატერიალური ფასეულობების მოძრაობა (შემოსვლა-გასვლა). ბალანსის დანართის - „ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ“ (ფორმა N6) მიხედვით, 2011 წელს რიცხულ 6 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულმა ექსპლუატაციის ხარჯმა 138.1 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც, ხაზინის მონაცემებით, შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები 88.9 ათასი ლარის ღირებულების, რომელთა მოძრაობა ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი ნორმის მიხედვით არ აღრიცხულა⁵ (საწვავ-საპოხი მასალების ანალიზი მოყვანილია ქვემოთ).

ხაზინის საკასო მონაცემების მიხედვით, შეძენილი იყო სხვადასხვა სახის საოფისე მცირეფასიანი ინვენტარი და ტექნიკა, რომელთა აღრიცხვა ასევე არ წარმოებდა⁶.

¹ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მუხლი 3, პუნქტი პირველი.

² ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

³ ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N511 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“.

⁴ საქართველოს პრეზიდენტი 1998 წლის 6 თებერვლის N 70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 3.

⁵ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლები 19 და 20.

⁶ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 8.

გარდა ამისა, ცენტრის მიერ არ ხდებოდა პირველადი დოკუმენტების სისტემატიზაცია, არ წარმოებდა პირველადი დოკუმენტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ მემორიალურ ორდერში ასახვა, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების ერთიანი მეთოდოლოგიისა და პრინციპის დაცვა.⁷ აუდიტის მოთხოვნით, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალიდან⁸ ამოღებულ იქნა ცენტრის საიტზე არსებული პირველადი დოკუმენტები და დალაგდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

2. ფინანსური ანგარიშგება

ა) თანხის დანაკლისის შესახებ

აპარატისა და ცენტრის სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობის კონტროლის მიზნით, აუდიტის პერიოდში არ მიმდინარეობდა სალაროს წიგნის წარმოება⁹.

2011 წლის აპარატისა და ცენტრის ფინანსური ანგარიშგების თანახმად, საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს, სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი არ ირიცხებოდა. ხაზინის მონაცემებისა და სალაროში თანხების მოძრაობების (შემოსავლისა და გასავლის ორდერები) აუდიტით დადგინდა, რომ აპარატის სალაროში წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო 3.2 ათასი ლარის ნაღდი ფულის ნაშთი. ასევე, 2012 წლის ხაზინის მონაცემებისა და სალაროს მოძრაობების შესწავლით, წლის ბოლოს ნაღდი ფულის ნაშთს უნდა შეედგინა 1.5 ათასი ლარი. ხაზინიდან ფული გამოტანილი იყო ანგარიშვალდებული პირის მიერ (ფინანსური მენეჯერი, რომელიც ასევე ასრულებდა ორგანიზაციაში მოლარის ფუნქციებს, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშვალდებულ პირთან არ ყოფილა გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ¹⁰.) ვინაიდან აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯვის დოკუმენტები, აღნიშნული ფულადი სახსრები - **4.7 ათასი ლარი**, წარმოადგენდა სალაროს დანაკლისს¹¹, საიდანაც აუდიტის პერიოდში 1.8 ათასი ლარი დაბრუნებულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი ფულადი სახსრები - 2.9 ათასი ლარის

⁷ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი - დოკუმენტები, შემოწმებისა და მიღების შემდეგ, სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ მემორიალურ ორდერებში/სხვა ფორმებში ან ელექტრონულად შემუშავებულ ფორმებში (შემდგომში - „მემორიალური ორდერი“) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.

⁸ <http://rs.ge>

⁹ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის ბრძანება N511 „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის N49 ბრძანების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁰ ფინანსთა მინისტრის N49 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹ ფინანსთა მინისტრის N49 ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

ოდენობით, ექვემდებარება ხაზინის ერთიან ანგარიშზე აღდგენას ანგარიშვალდებული პირის მიერ.

2012 წლის 11-16 ივნისს, საქართველოს ქალაქებში გასამართ ნატოს ყოველწლიურ კვირეულთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორის 31 მაისის N25 ბრძანებით, ორგანიზაციის ასიგნებებიდან გამოიყო 15.0 ათასი ლარი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრების ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. თანხა ხაზინიდან 6 ივნისს, პირად ანგარიშზე ჩაერიცხა ცენტრის მთავარ ბუღალტერს¹². ცენტრის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებითა და საგადასახადო ანგარიშვალდებულებით დასტურდება 9.7 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის გაწევა, ხოლო გაუხარჯავი ნაშთი - 5.3 ათასი ლარი, არ იყო დაბრუნებული ხაზინის ერთიან ანგარიშზე, არ ირიცხებოდა ორგანიზაციის სალაროში და არც ცენტრის ბალანსზე დებიტორულ დავალიანებად (საბალანსო ანგარიში N1452-ის მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ) და წარმოდგენდა სალაროში ნაღდი ფულის დანაკლისს¹³. აღნიშნული თანხა, 2014 წლის 20 მარტს (საგადახდო დავალება N1) ცენტრის ბუღალტრის მიერ შეტანილ იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ბ) არასწორი კლასიფიკაცია

აპარატის 2011-2012 წლების ბალანსების თანახმად, ბალანსის მუხლის - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ - მიხედვით, წლის დასაწყისში ნაშთად რიცხული მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის ღირებულება შეადგენდა 144.3 ათას ლარს. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2010 წლის 8 სექტემბრის N265 ბრძანებით, აპარატს გადაეცა მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული, მერვე სართულზე მდებარე 616 კვ.მ სამუშაო და 301.1 კვ.მ არასამუშაო ფართობი, უვადოდ და უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით. აღნიშნული ფართობის საბალანსო ღირებულება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის“ მიერ ჩატარებული დასკვნით შეფასდა 685 ათას ლარად და ამავე ღირებულებით აღებულ იქნა შემოსავალში 2010 წლის ნაცვლად, 2011 წელს. 2011 წლის წლიური ბალანსის მიხედვით, წლის ბოლოს ზემოხსენებული მუხლის ნაშთი შეადგენდა 1140.5 ათას ლარს, საიდანაც 678.2 ათასი ლარი იყო გადმოცემული ნაგებობის ღირებულება (ამორტიზაციის გამოკლებით) და უნდა აღრიცხულიყო საბალანსო მუხლში - „შენობა-ნაგებობები“, ხოლო 462.4 ათასი ლარი არის მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის ღირებულება. ბალანსზე აღრიცხული შენობის ღირებულება არასწორად იქნა კლასიფიცირებული საბალანსო მუხლში და აისახა არა

¹² ფინანსთა მინისტრის N49 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³ ფინანსთა მინისტრის N49 ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

„შენობა-ნაგებობების“, არამედ მუხლში - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“. აღნიშნული უზუსტობა გამოსწორდა 2012 წლის ბალანსში.

გ) ხარჯები, რომელთა მიზნობრიობა ვერ იქნა დადასტურებული

2011 წელს ცენტრის მიერ, სასაჩუქრე ბარათების, სუვენირებისა და სხვადასხვა საჩუქრის სახით გაწეულია 15.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი, საიდანაც მათ მიერ შეძენილია 9.8 ათასი ლარის ღირებულების ფულადი ვაუჩერი. მიმოწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომელთა საფუძველზედაც შეძენილ იქნა ზემოაღნიშნული ფასეულობა, არ არის მითითებული საქონლის დასახელება. უმეტესად, მხოლოდ შეძენის დამადასტურებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურებითა და სასაქონლო ზედნადებების მეშვეობით გახდა შესაძლებელი შეძენილი საქონლის დადგენა. საკასო ხარჯი სრულადაა გაწეული „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების“ მუხლიდან და ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ საჩუქრის სახითაა შეძენილი ისეთი სახის საქონელი, როგორიცაა: რბილი ავეჯის სამეული -1.1 ათასი ლარის, ბრინჯაოს სუვენირები - 0.5 ათასი ლარის, ლამის ლამპა (ე.წ. „ნოჩნიკი“) – 0.1 ათასი ლარის, ტანსაცმელი - 0.6 ათასი ლარის (199 ლარად პიჯაკი, შარვლები - 119 და 69 ლარად, ქვედა ბოლო - 89 ლარად, ბლუზები - 9 ლარად და - 39 ლარად). შპს „ევროტექნიკს ჯორჯიადან“ 0.5 ათასი ლარის ღირებულების ვაუჩერით შეძენილია თხევადკრისტალური ტელევიზორი, რომლის ღირებულებამ, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის მიხედვით, შეადგინა 752 ლარი. სხვაობა 252 ლარი ანაზღაურებულია ნაღდი ანგარიშსწორებით (გადამხდელი პირის ვინაობა ცენტრში ვერ დაასახელეს). ცენტრის განმარტებით, ასევე საჩუქრის სახით (ხელშეკრულება N31) შეძენილია 3 ცალი მუსიკალური საკრავი, ჯამური ღირებულებით - 0.3 ათასი ლარი, 6 ცალი ლეპტოპი (acer aod257-13 ccb) - ჯამური ღირებულებით - 3.2 ათასი ლარი (ხელშეკრულება N92). ახალი წლის წინა დღეებში შპს „ნუგბარიდან“ შეძენილია 20 ცალი სასაჩუქრე კალათი შოკოლადის ნაკრებით, საერთო ღირებულებით - 1.4 ათასი ლარი, შპს „ბადაგონიდან“ 24 ბოთლი ღვინო, საერთო ღირებულებით - 1.6 ათასი ლარი.

რაც შეეხება საჩუქრების მიმღებ პირებს, მათ შესახებ ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა მოწოდებული. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის საჩუქრის სახით გადაცემა დოკუმენტურად არ დასტურდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასაჩუქრე ბარათის სახითაა შეძენილი ასევე შპს „ეისი თრეველისგან“ 0.5 ათასი ლარის ღირებულების სამგზავრო ბილეთი. არ არის წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა (ან ინვოისი). ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ ვერ იქნა განმარტებული, თუ ვისთვის და რა მიზნებისთვის იქნა გაწეული აღნიშნული საკასო ხარჯი.

დ) აღურიცხავი საწვავის ნაშთი

აპარატში წლის ბოლოს საწვავის ბარათებზე ნაშთად ირიცხებოდა 3.4 ათასი ლიტრი საწვავი, ღირებულებით - 6.5 ათასი ლარი, რომელიც არც 2011 წლის ბალანსში (ფორმა N1) მარაგის სახით და არც „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ფორმა N2), საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობის სახით არ ასახულა. არსებული ნაშთიდან 3.0 ათასი ლიტრი საწვავი (5.8 ათასი ლარის ღირებულებით) მომწოდებლის მიერ მოწოდებული ანგარიშის თანახმად, გაიხარჯა მომდევნო წელს, რომლის მიხედვით 357 ლიტრი (0.7 ათასი ლარის ღირებულებით) საწვავის ხარჯი არ დადასტურდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნაშთი ერთ-ერთ ბარათზე გაუხარჯავად ინახებოდა 2 წლის განმავლობაში. ობიექტს მიეცა რეკომენდაცია, აღურიცხავი ნაშთი ელიარებიან აქტივად შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არ განხორციელებულა.

2012 წლის ბოლოს საწვავის ბარათებზე ირიცხებოდა 848 ლიტრი საწვავი (ღირებულებით - 1.8 ათასი ლარი), რომელიც გაიხარჯა მომდევნო წელს და ბალანსის მიხედვით ნაშთად არ იყო აღრიცხული.

ცენტრსა და აპარატში ვერ დგინდება ნაშთად დარჩენილი ფასეულობების რეალური ღირებულება არ ხდება მათი აქტივად აღიარება ბალანსზე.

3. ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, აპარატსა და ცენტრის ხელმძღვანელობას უნდა ჩაეტარებინა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2011 და 2012 წლების ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე¹⁴.

აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის N193 ბრძანებით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ჩატარება მხოლოდ აპარატში. ნატოს საინფორმაციო ცენტრში, მიუხედავად ჩვენი რეკომენდაციისა, ინვენტარიზაცია არ ჩატარდა¹⁵.

¹⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N 70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N5 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N 70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად, კომისიის სხდომის 2013 წლის 28 დეკემბრის N3 ოქმის თანახმად, გამოვლინდა 2007 წელს შესყიდული ერთი ერთეული „ფუჯიცუს“ ფირმის მობილური ტელეფონის დანაკლისი, რომლის საწყისი ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულება 200 ლარს. კომისიის წინადადებით, დანაკლისის ანაზღაურება დაეკისრა მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ნარჩენი ღირებულებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქმში ასახული დანაკლისი, მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე¹⁶ უნდა დაკისრებოდა არა ნარჩენი, არამედ საბაზრო ღირებულებით.

2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების წარმოდგენილმა მასალებმა გამოავლინა ჩატარებული ინვენტარიზაციის რიგი არსებითი ნაკლოვანება, რომლებიც ცხადყოფს ჩატარებული ინვენტარიზაციის ფორმალურ ხასიათს. კერძოდ:

➤ ინვენტარიზაციის უმთავრესი მიზანია აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. ამ მიზნით, ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის, საბუღალტრო და უფლებამოსილი სამსახურები (ჩვენს შემთხვევაში - ფინანსური სამსახური) ვალდებულია დაასრულოს შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის დამუშავება, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), გამოიყვანოს ნაშთები ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მიაწოდოს საინვენტარიზაციო კომისიას¹⁷. აპარატში ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობის გამო, ინვენტარიზაციის წესის ამ პუნქტის მოთხოვნები ვერ შესრულდა. შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი „ინვენტარიზაციის შედეგების უწყისი“ (ფორმა Nინვ-3), სადაც უნდა ასახულიყო ბუღალტრული და ფაქტობრივი მდგომარეობის ნაშთებს შორის არსებული სხვაობა.¹⁸ აქედან გამომდინარე, შესადარისი ინფორმაციის უქონლობის გამო, კომისიის სხდომის 2013 წლის 28 დეკემბრის N3 ოქმში მოყვანილი ინფორმაცია დანაკლისის შესახებ, ვერ ჩაითვლება სარწმუნოდ;

➤ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით, საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა აპარატის ფინანსურ მენეჯერს, რომელიც იყო აპარატის საბუღალტრო სამსახურის ერთადერთი თანამშრომელი. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის თანახმად, კომისიის წევრები, ბუღალტრული სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, განსაზღვრავენ ჩატარებული ინვენტარიზაციის

¹⁶ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-15 მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁷ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-5 მუხლის მე-14 პუნქტი.

¹⁸ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-14 მუხლი.

შედეგებს. შესაბამისად, ფინანსური მენეჯერის საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნით, რომელიც არის დაინტერესებული პირი, არსებითად დაირღვა ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნები.¹⁹

➤ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი. აპარატში ვერ იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო მინისტრის ბრძანება კონკრეტულ პირებზე მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რის გამოც აუდიტის ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა კომისიის წევრთა დაინტერესებულობა²⁰. შესაბამისად, ოფიციალურად მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრამდე, კომისიის წევრების ნებისმიერი შემადგენლობა ვერ იქნება მიჩნეული ლეგიტიმურად.

➤ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ, ითვალისწინებდა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას, რომელიც მოიცავს მატერიალური მარაგების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის ფაქტობრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების თანახმად, მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა²¹, ასევე არ ჩატარებულა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია²²;

➤ აპარატში არ არსებოს მატერიალური მარაგების განთავსების ბრძანებით დადგენილი ადგილი და მათი დაცულობის უზრუნველსაყოფად ასევე ბრძანებით განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი²³;

➤ 2011 წლის 26 დეკემბრის N2011/403 ხელშეკრულების თანახმად, აპარატში შეძენილ იქნა 20 ერთეული აუდიო-ვიდეო მოწყობილობა (Apple ipod Touch 8GB) საერთო ღირებულებით 9.2 ათასი ლარი, საიდანაც, აპარატის თანამშრომელთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით, თანამშრომლებს გადაეცათ 14 ერთეული მოწყობილობა, ხოლო 6 ერთეული, საერთო ღირებულებით - 2.8 ათასი ლარი, აპარატის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 28 დეკემბრის აპარატის ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის კომისიის სხდომის N3 ოქმის დანართში - „მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის უწყისი“, არ არის აღრიცხული. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული მოწყობილობების არსებობის

¹⁹ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁰ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

²¹ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-10 მუხლი.

²² ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-13 მუხლი.

²³ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების მე-10 მუხლი.

შესახებ. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს მატერიალური ფასეულობის დანაკლისს.

აპარატში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებანი, აუდიტის ჯგუფის მიერ შეფასდა არსებითი ხასიათის დარღვევებად, რომელთა გამო საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი შედეგები ვერ იქნება მიღებული სარწმუნოდ.

4. აქტივებზე ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ფიზიკური ცვეთა)

აპარატისა და ცენტრის მიერ, ძირითადი აქტივების საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრა და დარიცხვა წარმოებდა მოქმედი წესებისა და ნორმების დარღვევით. კერძოდ, ცვეთა ძირითად აქტივებს ერიცხებოდა არა საწყის (ისტორიულ) ღირებულებაზე, არამედ ნარჩენი ღირებულებიდან²⁴.

აპარატისა და ცენტრის ბალანსებში, შესაბამისად, მათ ნაერთ ბალანსში მატერიალური ფასეულობები არ არის აღრიცხული რეალური ნარჩენი ღირებულებით, რაც საჭიროებს კორექტირებას და ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსთა მინისტრის მითითებული ბრძანების შესაბამისად ასახვას.

5. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

წარმოდგენილი 2011- 2012 წლების ნაერთი ფინანსური ანგარიშები არ მოიცავდა შემდეგ ანგარიშებს: „ცნობას დებიტორ-კრედიტორების შესახებ“, „ანგარიშს სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ (ფორმა N4), „ანგარიშს ფულადი გრანტების შესახებ“ (ფორმა N4-1), „ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“ (ფორმა N5-1). ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნული ანგარიშების წარდგენის აუცილებლობის შესახებ.

რაც შეეხება აპარატისა და ცენტრის 2011-2012 წლების ანგარიშებში ცნობას დებიტორ-კრედიტორების შესახებ, ბალანსის დანართი „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ფორმა N2), სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის არც ერთ მუხლში არ არსებობდა. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანების არსებობა. კერძოდ:

ხაზინის მონაცემებიდან გამომდინარე, 2011 წლის 27 იანვარს (საგადასახადო დავალება N73), შპს „რომპეტროლ საქართველოს“, აპარატის

²⁴ ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლი.

მიმდინარე წლის ასიგნებიდან აუნაზღაურდა 4.7 ათასი ლარი. გადახდის საფუძვლად მითითებული იყო წინა წლის ხელშეკრულება და ასევე წინა წლის საგადასახადო ანგარიშფაქტურები (ანგარიშები: N790392, N773146). შესაბამისად, გასტუმრებულ იქნა 2010 წლის აღურიცხავი კრედიტორული დავალიანება.

2012 წლის 11-16 ივნისს, საქართველოს ქალაქებში გასამართ ნატოს ყოველწლიურ კვირეულთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ცენტრის მთავარ ბუღალტერს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 15.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს დებიტორული დავალიანებების ზრდას ანგარიშვალდებული პირის მიმართ. ამის ნაცვლად, აუდიტის მოთხოვნით, ბუღალტრის მიერ გაკეთებულ გატარებებში იგი აღირიცხა ვალდებულების შემცირებად, ხოლო გახარჯული ფულადი აქტივი, როგორც ვალდებულებების ზრდა, ფაქტობრივ ხარჯად აღიარების ანგარიშთან კორესპონდენციით, ნაცვლად დებიტორული დავალიანების შემცირებისა (ხარჯის დამადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისი თანხით), ანუ არსებითად შეცვლილია ოპერაციების არსი. აღნიშნული თანხიდან, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილია მხოლოდ 9.7 ათას ლარზე, შესაბამისად, 5.3 ათასი ლარი დებიტორულ დავალიანებად (საბალანსო ანგარიში N1452 – „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“) არ აღრიცხულა.

აპარატში გვხვდება აღურიცხავი დებიტორული დავალიანების შემთხვევები, კერძოდ:

2011 წლის 27 დეკემბერს ავანსად იქნა გაწეული საკასო ხარჯი 12.2 ათასი ლარის ოდენობით, ანგარიშვალდებულ პირზე, გიორგი ბარამიძეზე. მივლინება განხორციელდა მომდევნო საანგარიშო პერიოდში, 2012 წლის 3-11 იანვრის ჩათვლით. ამის მიუხედავად, აღნიშნული თანხა არ აღრიცხულა 2011 წლის ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო წარმოდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების მოთხოვნებს.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან
შესაბამისობის შესახებ

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აპარატისა და ცენტრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის, ფინანსური ოპერაციებისა და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აპარატისა და ცენტრის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

1. საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვაში გამოვლენილი კანონდარღვევები

აუდიტის პერიოდში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ორგანიზაციული კოდი - 20 00) შედგებოდა ორი ორგანიზაციული ქვეკოდისგან: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ორგანიზაციული კოდი - 20 01) და სსიპ - „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“

(ორგანიზაციული კოდი - 20 02). საბიუჯეტო ასიგნების დაგეგმვის სისწორე განხილულ იქნა ქვეკოდების დონეზე.

აპარატის (ორგანიზაციული კოდი - 20 01) „2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტის მიხედვით, 2011 წლისთვის, დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განსაზღვრული იყო 26 ერთეულით, ხოლო ასიგნებების ზღვრული მოცულობა - 1925.8 ათასი ლარის ოდენობით. აპარატის ხელმძღვანელობამ მოითხოვა საერთო დაფინანსება 1860.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო პერსონალის რიცხოვნება 38 ერთეულის რაოდენობით, რაც 65.8 ათასი ლარით ნაკლები იყო ასიგნების ზღვრულ მოცულობაზე და 12 ერთეულით მეტი, ზღვრული მოცულობით განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნებაზე. ე.ი. განაცხადის მიხედვით, პერსონალის რიცხოვნების ზრდის პირობებში, მოითხოვდნენ დაფინანსების შემცირებას. კერძოდ, მუხლით „საქონელი და მომსახურების“ ზღვრულ მოცულობასთან შედარებით - 140.4 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე, მოითხოვდნენ მუხლებით „შრომის ანაზღაურება“ და „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებების გაზრდას, შესაბამისად, 30.6 ათასი ლარით და 44.0 ათასი ლარით.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (N4107), აპარატს (ორგანიზაციული კოდი - 20 01) 2011 წლის გეგმა დაუმტკიცდა 1051.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომუშავეთა რიცხოვნება - 23 ერთეულით, რაც ზღვრული მოცულობით გათვალისწინებულზე 874.0 ათასი ლარით ნაკლები იყო და მის 54,6%-ს შეადგენდა. განაცხადთან შედარებით, კლება შეეხო „შრომის ანაზღაურების“ მუხლს 469.4 ათასი ლარით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლს - 373.4 ათასი ლარით და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლს - 32.0 ათასი ლარით.

2011 წელს მთავრობის განკარგულებებით, სარეზერვო ფონდიდან აპარატს გამოეყო დამატებითი ასიგნება 6 შემთხვევაში - თანხით 1761.3 ათასი ლარი, საიდანაც 3 შემთხვევაში გამოიყო დაფინანსება 719.3 ათასი ლარის ოდენობით, აპარატის ფუნქციონირებისთვის და მოგვიანებით შეტანილი ცვლილებების შედეგად დაემატა დამტკიცებულ გეგმას, ხოლო 3 შემთხვევაში - თანხით 1041.9 ათასი ლარი, განსახორციელებელი ღონისძიების დასაფინანსებლად, კერძოდ:

➤ 2011 წლის ბიუჯეტში 8 აპრილს შეტანილი ცვლილებით (საქართველოს კანონი N4508-IX) აპარატს დაფინანსება გაეზარდა 365.4 ათასი ლარით, საიდანაც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება 170 ათასი ლარი (აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის) კანონში შეტანილი ცვლილებით²⁵, აისახა

²⁵ საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლი - „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების

დამტკიცებული გეგმის სახით, ხოლო 155.4 ათასი ლარით გაიზარდა გამოყოფილი ასიგნებების სიდიდე. განხორციელებული ცვლილებით გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლი 204.4 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი - 120.0 ათასი ლარით.

➤ მეორე ცვლილება შეტანილ იქნა დამტკიცებულ გეგმაში 2011 წლის 24 ნოემბერს (საქართველოს კანონი N5331-II), რომლის მიხედვით დაფინანსება სულ გაიზარდა 549.4 ათასი ლარით. ამ შემთხვევაშიც მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2011 წლის 28 აპრილსა და 13 ოქტომბერს, შესაბამისად, N922 და N2005 განკარგულებებით, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხები (300.0 ათასი ლარი და 249.4 ათასი ლარი) აისახა დამტკიცებული გეგმის სახით²⁶ და აპარატს გაეზარდა ასიგნება მუხლით - „შრომის ანაზღაურება“ 264.0 ათასი ლარით, მუხლით - „საქონელი და მომსახურება“ - 253.4 ათასი ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივის ზრდის“ მუხლით - 32.0 ათასი ლარით.

სულ 2011 წელს გაზრდილი ასიგნებებიდან, ხარჯებზე მოვიდა ცვლილების 94%, საიდანაც 32% (469.8 ათასი ლარი) დაემატა შრომის ანაზღაურების მუხლს, რაც თავდაპირველად მოთხოვნილი ასიგნების ფარგლებშია და მის 114,3%-ს შეადგენს. აპარატის პირველი დამტკიცებული გეგმით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაწევი ხარჯი დამტკიცდა 410.8 ათასი ლარის ოდენობით, რაც მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო განაცხადის მოსამსახურეთა რიცხოვნებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის (ფორმა N3) თანახმად, 2011 წელს მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით 26 თანამშრომელზე, პერსონალის სრული დასაქმების პირობებში, თანამდებობრივი სარგოს სახით გასაწევ ხარჯზე (616.2 ათასი ლარი), 205.4 ათასი ლარით ნაკლები იყო. 2011 წელს აღნიშნული მუხლით გაწეული საკასო ხარჯიდან გამომდინარე, დამატებითი ასიგნებიდან მხოლოდ 81.7 ათასი ლარი მოხმარდა თანამდებობრივი სარგოს დეფიციტის შევსებას, ხოლო დაფინანსების უმეტესი ნაწილი (387.7 ათასი ლარი) - პერსონალზე პრემიების გაცემას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2011 წლის საერთო საკასო ხარჯმა მთლიანობაში 66%-ით გადააჭარბა წინა წლის საკასო ხაჯს, ხოლო დასაქმებული პერსონალის რიცხოვნებამ დაიკლო 32%-ით, მაშინ როდესაც შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა მოიმატა 3%-ით. საგრძნობლად გაიზარდა საკასო ხარჯები (შესაბამისად 121% და 186,9%) მუხლებით

მიმართულებებს განსაზღვრავენ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით“.

²⁶ საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლი - „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით“.

„საქონელი და მომსახურება“ და „არაფინანსური აქტივების ზრდა“, რაც სარეზერვო ფონდებიდან დამატებითი დაფინანსებით იყო გამოწვეული.

2011 წლის განაცხადის მიხედვით, ცენტრი მოითხოვდა ასიგნებას 450.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ზღვრულ მოცულობაზე 123.0 ათასი ლარით მეტი იყო. ცენტრს ბიუჯეტით დაუმტკიცდა ასიგნება 250.0 ათასი ლარის ოდენობით, ზღვრულ მოცულობაზე 77.0 ათასი ლარით ნაკლები. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის N444 ბრძანებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა ცენტრის ფუნქციონირებისათვის²⁷ დაკლებული 77.0 ათასი ლარი, რომელიც „საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ“ 2011 წლის 24 ნოემბერს საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების (საქართველოს კანონი N5331 IIს) სახით აისახა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, მთავრობის 2011 წლის 14 სექტემბრის N1831 განკარგულებით გამოიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით“ 24.1 თასი ლარი. გამოყოფილი თანხით ჩრდილო-ატლანტიკური სხდომის უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა მაგიდები.

2011 წლის ცენტრის განაცხადის მიხედვით, ოფისის ხარჯებში გათვალისწინებული იყო კომუნალური ხარჯიც (ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი), ჯამში - 9.1 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ, როდესაც ცენტრი განთავსებულია საქართველოს პარლამენტის სსიპ - „ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის“ ადმინისტრაციულ შენობაში და მის კომუნალურ ხარჯებს ფარავს ბიბლიოთეკა. ხაზინის მონაცემებით, განაცხადით გათვალისწინებული კომუნალური ხარჯები ცენტრის მიერ არ გაწეულა. ასევე, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით მოთხოვნილი 97.2 ათასი ლარიდან, განაცხადში რეკლამის ხარჯი გათვალისწინებული იყო 20.0 ათასი ლარის ოდენობით, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯი“ - 61.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ქვემუხლით ფაქტობრივი ხარჯი გაწეულ იქნა 42.6 ათასი ლარის ოდენობით. წარმოქმნილი რეზერვი გაიხარჯა ცენტრის ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ, არამიზნობრივად, სხვადასხვა სასაჩუქრე ბარათების სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2011 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატს განაცხადით მოთხოვნილი დაფინანსება დამტკიცებული გეგმით შეუმცირდა 45%-ით. შემდგომ, წლის განმავლობაში წარმოქმნილი დეფიციტი დაიფარა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი დაფინანსების ხარჯზე. აღნიშნულმა ორგანიზაციას მისცა საშუალება, განხორციელებული

²⁷ იხ. საბიუჯეტო კოდექსის იგივე მუხლი.

შესყიდვებისას ესარგებლა კანონმდებლობაში არსებული შეღავათებით და დიდი რაოდენობით გაეცა დაუგეგმავი პრემია.

აპარატის 2012 წლის საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 26 ერთეულით, ხოლო ასიგნების ზღვრული მოცულობა - 1963.3 ათასი ლარით.

„2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2011 წლის 9 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, აპარატის ასიგნება შეადგენდა 2000.0 ათას ლარს. ობიექტის კვარტალური განწერის თანახმად, მთლიანი დაფინანსებიდან აპარატის ასიგნება გათვალისწინებული იყო 1713.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ცენტრის ასიგნება 286.7 ათასი ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 2012 წლის 22 მაისის ცვლილების თანახმად, აპარატის საერთო დაფინანსება გაიზარდა 300.0 ათასი ლარით, საიდანაც აპარატის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით, ხოლო ნატოს საინფორმაციო ცენტრის - 50.0 ათასი ლარით.

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებული გეგმა მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 3 შემთხვევაში გამოყოფილი დაფინანსების შედეგად გაიზარდა 186.0 ათასი ლარით და აპარატის დაზუსტებულმა გეგმამ 2134.5 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ერთ შემთხვევაში დაფინანსება გამოყოფილ იქნა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის ფუნქციონირებისთვის²⁸ - მუხლით „შრომის ანაზღაურება“ 25.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. შრომის ანაზღაურება

აპარატში 2011 წელს, მუხლით „შრომის ანაზღაურება“, მთლიანმა საკასო ხარჯმა 880.2 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნებამ 23 ერთეული. 2011 წელს თანამდებობრივი სარგოს სახით ფაქტობრივად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 492.5 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით გაცემულმა განაცემმა - 387.7 ათასი ლარი.

2012 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა ფაქტობრივმა საკასო ხარჯმა შეადგინა 946.8 ათასი ლარი, საიდანაც თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 499.6 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით - 447.2 ათასი ლარი. დასაქმებულთა ფაქტობრივმა რიცხოვნებამ 23 ერთეული შეადგინა.

სააუდიტორო პერიოდში, შტატით მომუშავე თანამშრომლების

²⁸ საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლი - „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით“.

უმეტესობაზე პრემიები გაიცემოდა ყოველთვიურად, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით. იყო შემთხვევები, როდესაც თვეში გაიცემოდა ერთზე მეტი პრემია. ასე მაგალითად: 2011 წელს, გაცემული პრემიების ხვედრითმა წილმა მუხლის - „მთლიანი ხარჯის“ 44% შეადგინა, ხოლო თანამდებობრივი სარგოს - 79%, საიდანაც დეკემბერში გაცემულმა პრემიების ხვედრითმა წილმა თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით 124% შეადგინა, ხოლო შრომის ანაზღაურებასთან შედარებით - 55%.

კიდევ უფრო გაიზარდა 2012 წელს გაცემული პრემიების ხვედრითი წილი და მუხლის 47% შეადგინა, ხოლო თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებით 90%, საიდანაც, ოქტომბერში გაცემული პრემიების ხვედრითმა წილმა, მუხლით „გაწეული საერთო ხარჯის“ 68%, ხოლო თანამდებობრივი სარგოს 209% შეადგინა. ასევე, თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით მაღალი იყო მაჩვენებლები ივნისში, ივლისსა და დეკემბერში (შესაბამისად, 136%, 157%, 149%).

აუდიტის პერიოდში, აპარატის ასიგნებებიდან, სახელმწიფო მინისტრებზე, საკუთარი ბრძანებების საფუძველზე, პრემიის სახით დარიცხული და გაცემულია სულ 115.3 ათასი ლარი, საიდანაც 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 20 აგვისტომდე პერიოდში დარიცხულია და გაცემული - 92.7 ათასი ლარის პრემია, 2012 წლის 24 აგვისტოდან 22 ოქტომბრამდე პერიოდში - 11.3 ათასი ლარის და 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე 11.3 ათასი ლარის პრემია. პრემიების გაცემის ბრძანებებიდან, ნაწილში საფუძვლად მითითებული იყო საქართველოს მთავრობის წევრების (მინისტრების) და მათი მოადგილეების შრომის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც აპარატის ხელმძღვანელობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ნაწილში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლში - არსებული ეკონომია. რაც შეეხება სამინისტროს თანამშრომლებზე პრემიების გაცემის ბრძანებებს, მათში საფუძვლად მითითებული იყო „თანამშრომელთა ხელფასების 2010 წლის განმავლობაში მიღებულ ხელფასებთან შესაბამისობის პრინციპის დაცვა“, რომელსაც პრემიების გაცემის მარეგულირებელი არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო მინისტრი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი) განეკუთვნება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტის თანხმობით.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს 2012 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრთა პრემიები საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია გაიცეს საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობის წევრის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, პრემიების გაცემის გამოყენების უფლება აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრს²⁹, ხოლო საკუთარი ბრძანებით, სახელმწიფო მინისტრისათვის (ინიშნება პრემიერ-მინისტრის მიერ) ფულადი სახით გაცემული წახალისების ფორმა, გამოყენებულია კანონმდებლობის დარღვევით.

3. აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვები

ტენდერების ორგანიზების პროცედურებში არსებული ხარვეზი

ტენდერების მიმდინარეობისას, ცალკეულ შემთხვევებში, აპარატის მიერ არ ხდებოდა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის სისტემაში³⁰ ატვირთვა, მაგალითად; SPA100000448, SPA100000490, SPA100000500, SPA100000501, SPA10000052, SPA100000526 ტენდერების შემთხვევებში არ არის ატვირთული სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, რომლის შემდეგ ტენდერს ენიჭება სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“ (SPA100000448, SPA100000490, SPA100000500, SPA100000501, SPA10000052, SPA100000526, SPA110003078). ტენდერების შემთხვევაში სისტემის მეშვეობით, ასევე არ იქნა წარმოდგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ შედგენილი დოკუმენტები.

სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა

მსუბუქი ავტომანქანების დაქირავების მიზნით, აპარატის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში (SPA100000500 - სამგზავრო „სედანის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად და SPA100000501 - სამგზავრო „უნივერსალის“ ტიპის მანქანა, მძღოლთან ერთად, მინიმალური წარმომადგენლობითი მოთხოვნებით) მონაწილეობა მიიღო თითო პრეტენდენტმა, რომელმაც 2011 წლის 10

²⁹ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტი; „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-4 მუხლის 1¹ პუნქტი.

³⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბერი N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი-2, პუნქტი- „ნ“.

იანვარს გაფორმდა N2011/21 და N2011/22 ხელშეკრულებები სავარაუდო ღირებულების შესაბამის თანხებზე. იმავე წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებებში განხორციელდა ცვლილებები და თითოეულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულებები გაიზარდა 15% -ით³¹, კერძოდ, 19.0 ათასი ლარიდან 21.8 ათას ლარამდე.

ხელშეკრულებების თანახმად, მომსახურება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დღეებში, საჭიროების შემთხვევაში, არასამუშაო დღეებშიც (სამუშაო საათები არანორმირებული), ხოლო დღეში 100 კმ-ის გავლის შემდეგ, შემსყიდველი მიმწოდებელს უზრუნველყოფდა დამატებითი საწვავით. იმავე წლის 1 თებერვლისა და 1 აპრილის ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულებებს დაემატა 2.4 და 2.5 პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებდა ქ. თბილისის ფარგლებს გარეთ, ერთ სამუშაო დღეზე მეტი ხნით მომსახურების შემთხვევაში, დამატებით 100 ლარისა და საწვავის, საბაზრო ღირებულების 10%-ით ან მეტი ცვლილების შემთხვევაში, სატრანსპორტო მომსახურების ღირებულებაში საწვავის წილის მატების ან კლების ანაზღაურების საკითხებს. მიგვაჩნია, რომ ტენდერების გამოცხადების ეტაპზე, აღნიშნული გარემოებების (ცვლილებები) გათვალისწინება შესაძლებელი იყო სატენდერო დოკუმენტაციაში, რომლის შემთხვევაშიც, ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში შესაძლებელია მონაწილეობა მიეღო სხვა პრეტენდენტებსაც და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დამდგარიყო შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უფრო მისაღები შედეგი, როგორც ხელშეკრულების ღირებულების, ასე გასაწევი მომსახურების ხარისხის მხრივ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მიმწოდებლის მხრიდან დამატებითი მომსახურების გაწევისა და საწვავის ფასის ცვლილებების შემთხვევაში, მისი პერიოდულობისა და მოცულობის დადგენა. შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას მიღებული მომსახურების გადახდილ ფასთან შესაბამისობის საკითხზე, რომელმაც საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით - N 2011/21 ხელშეკრულების შემთხვევაში 20.7 ათასი ლარი, ხოლო N2011/22 ხელშეკრულების შემთხვევაში - 20.5 ათასი ლარი შეადგინა.

2012 წელსაც, ანალოგიური მომსახურების მიღების მიზნით (SPA110032880 - სამგზავრო „სედანის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად და SPA110032883 - სამგზავრო უნივერსალური ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად) გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო თითო პრეტენდენტმა, რომლებთანაც ამავე წლის 10 იანვარს გაფორმდა N2012/25 და N2012/26

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მე-20 მუხლი.

ხელშეკრულებები, სავარაუდო ღირებულების შესაბამის თანხაზე - 24.5 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციების შესაბამისი პუნქტებით, „სედანის“ ტიპის ავტომანქანის შემთხვევაში, მძღოლის ასაკი განისაზღვრა 21-დან 38 წლამდე, ხოლო სამგზავრო უნივერსალური ტიპის ავტომანქანის შემთხვევაში - 38-დან 48 წლამდე. აპარატის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას მიგველო რწმუნება სატენდერო დოკუმენტაციაში ასაკობრივი კრიტერიუმების განსაზღვრის აუცილებლობაზე. მიგვაჩნია, რომ ასაკობრივი კრიტერიუმების დადგენით შეიზღუდა ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირთა რაოდენობა, რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზნებს, კერძოდ, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციული მიდგომების უზრუნველყოფას³². ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები გაფორმდა იმავე მიმწოდებლებთან, ვისგანაც აპარატი იღებდა ანალოგიური სახის მომსახურებას 2011 წლის განმავლობაში.

2011 წლის მსგავსად, ხელშეკრულებები ითვალისწინებდა დამატებითი ანაზღაურების საკითხებს, გარკვეული მომსახურების გაწევის შემთხვევებში, აპარატში კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო კი, მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავადგინოთ, რა მოცულობის მომსახურების მიღება განახორციელა აპარატმა, რომლის მიერ მიმწოდებლისთვის წლის განმავლობაში ანაზღაურებულმა თანხამ ჯამში ერთ ხელშეკრულებაზე შეადგინა - 24.0 ათასი ლარი.

შესყიდვის ობიექტის აღწერა

ავტომანქანის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA110031978**) სატენდერო დოკუმენტაციაში საქონლის ტექნიკური პირობების აღწერისას გამოყენებულია ისეთი პარამეტრები, როგორიცაა, ადგილების რაოდენობა, ძრავის მოცულობა, საბურავის ზომა, ცხენის ძალა, აუდიო სისტემა, სანავიგაციო სისტემა და ა.შ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პარამეტრებს ერთობლიობაში შესაძლებელია აკმაყოფილებდეს მხოლოდ შესაბამისი კლასისა და მარკის ავტომობილი³³, რაც თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფს შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი ყველა პირის მიმართ სამართლიანი მიდგომების ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელთანაც 2011 წლის 23 დეკემბერს გაფორმებდა

³² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი.

³³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-6 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა, „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა; შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 6 ივლისის რეკომენდაციების თანახმად, ასევე დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ისეთი კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების მითითება, რომლებიც მთლიანობაში მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს წარმოადგენს. მაგალითად: ავტომანქანის შესყიდვის შემთხვევაში დაუშვებელია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ იქნეს შესასყიდი ავტომანქანის კონკრეტული სიგრძე/სიგანე/სიმაღლე, საბურავებს შორის მანძილი, ცხენის ძალა და ა.შ., რომელთა სრულ კომპლექტაციას აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი მარკის ავტომანქანა.

N2011/401 ხელშეკრულება, ღირებულებით - 122.0 ათასი ლარი. (სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში დამატებით მიწოდებული იყო ავტომანქანის ციმციმა და ტუნერი - 0.8 ათასი ლარი).

ხელშეკრულების პირობების შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციასთან

ცალკეულ შემთხვევაში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები, საქონლის მიწოდების პირობებთან დაკავშირებით, სრულ წინააღმდეგობაშია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, კერძოდ: 2011 და 2012 წელს, გამარტივებული ტენდერების³⁴ საფუძველზე, სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისი პუნქტები ითვალისწინებდა საქონლისა და მომსახურების მიწოდებას სატენდერო წინადადებაში ასახული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მაშინ, როცა პრეტენდენტების სატენდერო წინადადებებით აღნიშნული გეგმა-გრაფიკის შესახებ ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი და არც სატენდერო დოკუმენტაცია განსაზღვრავდა მისი წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული გარემოებების გამო, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადების საკითხი ხელშეკრულებებით დაურეგულირებელია, რაც ორგანიზაციას ართმევს შესაძლებლობას, მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გამოიყენოს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების არასრულყოფილად წარდგენა

ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ცალკეულ შემთხვევაში არ ხდებოდა მონაცემების სრულყოფილად წარდგენა, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, ფოტოსურათების ბეჭდვითი მომსახურებისა (SPA110003087) და ლაზერული პრინტერების კარტრიჯების დატენვა-შეკეთების (SPA110004692) მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების მიმდინარეობის ეტაპზე, პრეტენდენტების მიერ ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ მონაცემები არ იქნა წარმოდგენილი წლების მიხედვით. აგრეთვე, სატელეფონო მომსახურების მიღების მიზნით გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA110032739) მონაწილე პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია საერთაშორისო ზარების (როგორც ფიქსირებულ, ისე მობილურ ოპერატორებთან)

³⁴ 2011 წელს (SPA110006943, SPA110010706, SPA110014424, SPA100000500, SPA100000501, SPA110031978, SPA110031988) და 2012 წელს (SPA120003293, SPA120017885, SPA120026902, SPA120026946, SPA120027105).

ღირებულების შესახებ. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიას, მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, არ მიუმართავს ტენდერში მონაწილე პირებისთვის ინფორმაციის დაზუსტების მოთხოვნით, რომლის დაუზუსტებლობა შესაძლებელია გამხდარიყო პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის საფუძველი.³⁵

გამარტივებული შესყიდვები

გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვებისას, აპარატის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები 2011-2012 წლებში ძირითადად შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევით³⁶, კერძოდ:

- არ არის გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადები (NN2011/281, 2011/382, 2012/34, 2012/262);
- ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადები (NN2011/159, 2011/162, 2012/72);
- ხელშეკრულების დადების საფუძველი, კანონის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით (2011/169, 2012/21, 2012/34).

გადაუღებელი აუცილებლობა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აპარატის მიერ 2011-2012 წლებში მიმწოდებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, რომელიც წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოსთან³⁷ (2011/114, 2012/3, 2012/16, 2012/17, 2012/18, 2012/86, 2012/194).

ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება

³⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბერი N9 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი

³⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მე-19 მუხლი.

³⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მიმწოდებლებთან გაფორმებული NN2011/63, 2011/79, 2011/78, 2011/166 ხელშეკრულებების თანახმად, სახელმწიფო მინისტრის აპარატს შესყიდული აქვს ისეთი დასახელების საქონელი, როგორცაა, კედლის ლარტყა - 1.2 ათასი ლარი, მრგვალი მაგიდა - 1.4 ათასი ლარი, 7 ცალი სავარძელი - 2.8 ათასი ლარი, ჯვარედინი ფორმის მაგიდის ძირი, ღირებულებით - 0.5 ათასი ლარი.

აპარატის გადაწყვეტილება, აღნიშნული საფუძველით შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის შესახებ, არის უსაფუძვლო, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საქონელი არ წარმოადგენს ისეთ სპეციფიკურ საგანს, რომლის შესყიდვა იმავე მიმწოდებელთან, აუცილებლობით იქნებოდა განპირობებული, რათა არ გაუარესებულიყო შესყიდული ობიექტის ხარისხი ან მისი შემდგომი ექსპლუატაცია³⁸

ავტომობილების ტექნიკური მომსახურება

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების მიზნით, აპარატის ასიგნებებიდან წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 5 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე შეადგინა 37.1 ათასი ლარი. მათ შორის, 2004 წლის გამოშვებულ ავტომანქანა „ოპელ ვექტრაზე“, რომლის ნარჩენმა ღირებულებამ საბალანსო მონაცემებით, 2011 წლის ბოლოს შეადგინა 18.1 ათასი ლარი, გაწეულ იქნა 6.0 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2012 წელს, 7 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 31.5 ათასი ლარი.

აღნიშნული სახის მომსახურებაზე ხარჯების მიზნობრივად და რაციონალურად გაწევის მიზნით, გარდა ორივე მხარის მიერ წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვებისა (დეფექტური აქტები), მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. კერძოდ, აპარატის ასიგნებებიდან ხარჯის გაწევაზე უფლებამოსილი პირის (აპარატის უფროსი) გადაწყვეტილება, რომლის საფუძველიც შესაძლებელია ყოფილიყო შემდგომში მომსახურების მიმღები პირის დასაბუთებული შუამდგომლობა (მოხსენებითი ბარათი).

ცალკეულ შემთხვევებში არ არის წარმოდგენილი დეფექტური აქტებიც (ხელშეკრულებები: NN 2011/26 ,2011/28, 2011/269, 2012/19 ,2012/161).

სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები და აქსესუარები

³⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საბურავების შეძენის მიზნით, აპარატს შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული აქვს 2.9 ათასი ლარის ღირებულების ორი ხელშეკრულება (N-2012/122 და N-2012/149), რომლის თანახმად, საქონლის სარეალიზაციო ფასი მოიცავდა მისი მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას. აღსანიშნავია, რომ არც ხელშეკრულებაში და არც მის საფუძველზე გაფორმებულ შესაბამის დოკუმენტაციაში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, აღნიშნული საბურავები გამოყენებულ იქნა თუ არა აპარატის ბალანსზე რიცხული რომელიმე სატრანსპორტო საშუალების საჭიროებისათვის.

ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები

აპარატის მიერ აუდიტის პერიოდში ტრანსპორტით მომსახურების მიზნით, სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმდა საერთო ჯამში 11.8 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. მათ შორის, 2012 წლის 22 მარტს, ღონისძიების „ევროკავშირი-აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი ფორუმის“ სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების მიზნით, შპს „გრატისთან“ გაფორმდა N2012/100 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 5.4 ათასი ლარი. ხელშეკრულებას არ ახლავს წინასწარი ხარჯთაღრიცხვა, ხოლო წარმოდგენილი (გამარტივებული ანგარიშფაქტურის) დანართი N1-ის მიხედვით, კომპანიას აუნაზღაურდა შემდეგი სახის მომსახურება: მიკროავტობუსით (კლასი არ არის მითითებული): თბილისი-აეროპორტი-თბილისი - 150 ლარი (3 რეისი, ჯამში - 450 ლარი); მსუბუქი ავტომობილი: თბილისი-აეროპორტი-თბილისი - 120 ლარი (5 რეისი, ჯამში - 600 ლარი); საბარგო ავტომობილი: თბილისი-აეროპორტი-თბილისი - 120 ლარი. ქ.თბილისში მომსახურება: მიკროავტობუსი 1 დღე - 350 ლარი, მსუბუქი ავტომობილი 1 დღე - 250 ლარი, ავტობუსი 1 დღე - 450 ლარი. მომდევნო დღეებშიც გაწეულ იქნა ანალოგიური მომსახურება ზემოაღნიშნული ფასების შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვადასხვა ხელშეკრულებების მიხედვით (19-21 იანვარი) თბილისი-გუდაური-თბილისის მიმართულებით მომსახურება ერთ შემთხვევაში (ხელშეკრ. N-2012/38) ანაზღაურებულია 800 ლარით, ხოლო სხვა შემთხვევაში (ხელშეკრ. N-2012/50, 28-29 იანვარი) - 1000 ლარით. N2012/157 ხელშეკრულების საფუძველზე თბილისი-გორი-რუსთავის მიმართულებით მომსახურება „E კლასის მერსედესის“ მარკის ავტოსატრანსპორტით ანაზღაურებულია 296.61 ლარით, ხოლო N-2012/228 ხელშეკრულებით, იმავე კლასის ავტოსატრანსპორტით, მხოლოდ თბილისი-გორის მიმართულება ანაზღაურებულია 338 ლარით.

ვინაიდან, მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის აღნიშნული მომსახურების მიმღები პირების რაოდენობა და შესაბამისი

სამსახურის მიერ არ ხორციელდებოდა ანალოგიურ მომსახურებაზე ბაზრის შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიძლევიტ დასკვნას ფასების საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობის შესახებ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მარშრუტების მიხედვით ანაზღაურებული თანხები აღემატება ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობით არსებულ ღირებულებას.

4. სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები

სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებმა 2011 წელს შეადგინა 119.6 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 117.2 ათასი ლარი, რომლის შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები, კერძოდ:

ა) საპროტოკოლო მომსახურება

საპროტოკოლო მომსახურების მიღების მიზნით, 2011 წლის 31 ოქტომბერს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის საფუძველზე, ფიზიკურ პირთან, ლევან ლომინაძესთან გაფორმდა ხელშეკრულება N2011/315, რომლის ღირებულებამ შეადგინა 12.0 ათასი ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლევან ლომინაძისთვის პირადად ასანაზღაურებელ თანხას უნდა შეედგინა 10.0 ათასი ლარი, ბიუჯეტში (საშემოსავლო გადასახადი) - 2.0 ლარი. ფაქტობრივად, ფიზიკური პირისთვის, ლევან ლომინაძისთვის ანაზღაურებულ იქნა 15.0 ათასი ლარი, საიდანაც პირად ანგარიშზე გადარიცხულია 12.0 ათასი ლარი, ხოლო 3.0 ათასი ლარი, ბიუჯეტში. დამატებითი მომსახურების გაწევის ფაქტი, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, არ დასტურდება. ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი თანხის ანაზღაურების საფუძველად წარმოდგენილია ლევან ლომინაძის წერილი, რომელიც თარიღდება 2011 წლის 14 ნოემბრით, ანუ მომსახურების გაწევის შემდგომ, მომწოდებელი ითხოვს მხარეებს შორის შეთანხმებული მომსახურების გაწევისათვის თანხის გაზრდას. აქედან გამომდინარე, 2.0 ათასი ლარი ზედმეტად გადახდილი თანხაა.

ბ) სატელევიზიო მომსახურება

ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტის პირდაპირ ეთერში ტრანსლაციის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს

„ჰორიზონ ტვ სტუდიასთან“ და სსიპ - „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ გაფორმდა 2 ხელშეკრულება ჯამში 122.1 ათას ლარზე.

- სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (28.0 ათასი ლარი) თანახმად, შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთის მომსახურებას ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში დიდი მოძრავი სატელევიზიო სადგურითა და ტექნიკური ჯგუფით ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საბჭოს ვიზიტთან (NAC) დაკავშირებით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად: „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უნდა უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ“. ამავე კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „ის არის საჯარო ფინანსებით მოქმედი ტელევიზია და თავისუფალია ყოველგვარი კომერციული გავლენისაგან“, ხოლო ტელევიზიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით, მომსახურების ტარიფები თავისი ღირებულებით უახლოვდებოდა საბაზრო ფასებს. აპარატის მიერ ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი გონივრული დასაბუთება იმისა, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფდა ტელევიზია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ვიზიტის გაშუქებას საკუთარი ასიგნებებიდან. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საბჭოს ვიზიტის მნიშვნელობიდან და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტატუსიდან გამომდინარე (მაუწყებელს გააჩნია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ვიზიტის გაშუქების ვალდებულება), არ იკვეთება NAC-ის ვიზიტის გაშუქებისთვის აპარატის ბიუჯეტიდან მაუწყებლის თანხის გადახდის აუცილებლობა. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, აპარატის მიერ სამაუწყებლო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა **28.0 ათასი ლარის** ოდენობით, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯია.

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შპს „ჰოპიზონ ტვ“-სთან გაფორმდა N2011/342 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 94.1 ათასი ლარი.

შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიას“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით მომსახურება გაწეული იქნა შემდეგ ღონისძიებებზე შემდეგი ანაზღაურებით:

შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიას“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, მომსახურება გაწეულ იქნა შემდეგ ქვემოთ მითითებულ ღონისძიებებზე შემდეგი ანაზღაურებით:

(ლარებში)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მომსახურების სახე	მომსახურების თანხა	დღგ	სრული თანხა
საქართველო-ნატოს კომისიის სხდომა „თბილისი რედისონში“	9 086	1 635	10 721
ნატოს გენერალური მდივნის პრესკოფერენცია „თბილისი რედისონში“	2 915	525	3 440
ნატოს გენერალური მდივნისა და პარლამენტის თავმჯდომარის პრესკოფერენცია	4 879	878	5 757
ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა თსუ-ის სტუდენტებთან	13 101	2 358	15 459
ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე	13 028	2 345	15 373
ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა პრეზიდენტთან „ბათუმი შერატონში“	12 218	2 199	14 418
ნატოს გენერალური მდივნისა და პრეზიდენტის ვიზიტი „ბათუმი-რედისონში“	24 533	4 416	28 949
ჯამი:	79 760	14 357	94 117

აღსანიშნავია, რომ შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიას“ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილია იმ ღონისძიებების გაშუქების ხარჯებიც, რომლებიც ასევე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ წარმოდგენილ ანგარიშშიც ფიგურირებს. კერძოდ:

- ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა პრეზიდენტთან „ბათუმი შერატონში“;
- ნატოს გენერალური მდივნისა და პარლამენტის თავმჯდომარის პრესკოფერენცია;
- პრესკოფერენცია „თბილისი რედისონში“ (რომელიც შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიას“ შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი აქვს 2 განსხვავებულ ღონისძიებად: „საქართველო-ნატოს კომისიის სხდომა „თბილისი რედისონში“ და ნატოს გენერალური მდივნის პრესკოფერენცია „თბილისი რედისონში“.

ზემოაღნიშნულ საკითხზე აუდიტის ჯგუფისათვის განმარტების მისაცემად აპარატის გადაწყვეტილებით გამოყოფილი პირის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო

მინისტრის მრჩევლის, ნათია ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით („ცნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ვიზიტთან დაკავშირებით აპარატის მიერ განხორციელებული სატელევიზიო მომსახურების შესყიდვის შესახებ“; ნატოს მიერ წინასწარ შედგენილი გენერალური მდივნისა და დელეგაციის წევრების გადაადგილების სამოქმედო პროგრამა; ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, აპარატის მიერ შემუშავებული ვიზიტის გაშუქების ტექნიკური გეგმა), შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიას“, ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტთან დაკავშირებით გაშუქებული აქვს მხოლოდ 3 ღონისძიება: „ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა სტუდენტებთან“, „ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი სამხედრო ბაზაზე“, „ნატოს გენერალური მდივნისა და პრეზიდენტის ვიზიტი „ბათუმი რედისონში“, ხოლო ფაქტობრივად, ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურებულია 7 ღონისძიების თანხა, საიდანაც: 4 ღონისძიება საერთო ღირებულებით - 34.3 ათასი ლარი (10.7 ათასი ლარი; 3.4 ათასი ლარი; 5.8 ათასი ლარი; 14.4 ათასი ლარი), აპარატის ინფორმაციითა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, გააშუქა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა. შესაბამისად, შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიასთვის“ **34.3 ათასი ლარი** ზედმეტადაა ანაზღაურებული.

ტრანსპორტით მომსახურება

2011 წლის 9-10 ნოემბერს, საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებით, სატრანსპორტო მომსახურების მიღების მიზნით, შპს „ვესტ თრეველთან“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2011 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა N2011/277 ხელშეკრულება. იმავე წლის 7 ნოემბერს ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 10.6 ათასი ლარით (არ არის განმარტებული მიზეზი) და შეადგინა 45.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, საანგარიშსწორებო თანხების კალკულაცია უნდა განხორციელდეს დანართი N1-ის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, მათი ყოველდღიური დანიშნულებებისა და 1 დღის მომსახურების ტარიფის მიხედვით. ამასთან არ არის გაწერილი დღეების მიხედვით გასაწევი სატრანსპორტო მომსახურების გრაფიკი.

მანქანის ტიპი	დანიშნულება	ერთი დღის ფასი
ავტობუსი	თბილისი	500
მიკროავტობუსი	თბილისი	300
მიკროავტობუსი(სატვირთო)	ტრანსფერი	250
მიკროავტობუსი(სატვირთო)	თბილისი-ბათუმი	500

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

	მიკროავტობუსი(სატვირთო)	ბათუმი	200
	მსუბუქი ავტომობილი (წარმომადგენლობითი)	თბილისი-ბათუმი- თბილისი	700
	ავტობუსი	თბილისი-ბათუმი- თბილისი	1800
	მიკროავტობუსი	თბილისი-ბათუმი- თბილისი	600
	მსუბუქი ავტომობილი	თბილისი	200
	მიკროავტობუსი	თბილისი-ბათუმი	600
	მიკროავტობუსი	ბათუმი-თბილისი	350
	მიკროავტობუსი	ბათუმი	350
	მსუბუქი ავტომობილი	თბილისი-ბათუმი- თბილისი	500

ხშირ შემთხვევაში ანაზღაურებულია ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ისეთ დანიშნულებებზე მომსახურება, რომლის ღირებულებაც არაა მოცემული დანართში და შესაბამისად, მათი ტარიფი არ წარმოადგენდა მხარეთა შორის შეთანხმების საგანს.

ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვიმსჯელოთ აღნიშნული მომსახურების ტარიფების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაზე.

ამასთან, შესრულებული მომსახურების შესახებ ინფორმაციის ამსახველი ანგარიშის (2011 წლის უთარილო ინვოისი N325, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საანგარიშსწორებო თანხების კალკულაცია) შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ცალკეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, იმაზე მეტი მომსახურების გაწევა იქნა აღიარებული, ვიდრე რეალურად განხორციელდა. მაგალითად:

10 ნოემბერს, მიკროავტობუს **mercedes sprinter**-ით ჟურნალისტების გადაყვანისათვის ანაზღაურებულია 3 სატრანსპორტო საშუალების თანხა - 1.8 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც სახელმწიფო სერიითა და ნომრების მიხედვით მოცემული შედარების უწყისით ირკვევა, რომ მომსახურება რეალურად გაწეულ იქნა 2 სატრანსპორტო საშუალებით (10 ნოემბერს - სახელმწიფო ნომერი: GIA 475; TSI 009). შესაბამისად, **0.6 ათასი ლარი** ზედმეტადაა გადახდილი.

8 ნოემბერს **E CLASS** (stuff -ის მომსახურებისათვის) ტიპის მსუბუქ ავტომობილს (სახელმწიფო ნომერი: NDN 208) მიღებული აქვს თბილისში მომსახურებისათვის 0.2 ათასი ლარი და იმავე დღეს, თბილისი-ბათუმის მომსახურებაზე - 0.4 ათასი ლარი, ანუ 1 სამუშაო დღეს გაწეული მომსახურებისათვის აუნაზღაურდა 2 სამუშაო დღის ღირებულება. ამ შემთხვევაში **0.2 ათასი ლარი** ზედმეტადაა ანაზღაურებული.

E CLASS-ის ტიპის მსუბუქ ავტომობილს (სახელმწიფო ნომერი: GPG 611) stuff-ის მომსახურებისათვის 8, 9 და 10 ნოემბერს ანაზღაურებული აქვს თბილისში დღიური თანხა, როგორც **stuff**-ის, ასევე **nato stuff**-ს მომსახურებისათვის, დღიური მომსახურების თანხა შეადგენდა 0.2 ათასი ლარს. მას კი 3 დღეში აღებული აქვს 1.2 ათასი ლარი, ანუ **0.6 ათასი ლარი** (1.2 ათასი-0.6 ათასი) ზედმეტია.

E CLASS-ის (stuff-ის მომსახურებისათვის) ტიპის მსუბუქ ავტომობილს (სახელმწიფო ნომერი: NCN 544) მიღებული აქვს 10 ნომბერს თბილისი-ბათუმი-თბილისი დანიშნულებაზე მომსახურებისათვის 0.5 ათასი ლარი და იმავე დღეს თბილისი-ვაზიანის დანიშნულებით კორტეჟის მომსახურებაზე - 0.2 ათასი ლარი, ანუ ამ შემთხვევაშიც 1 სამუშაო დღეში გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურებულია 2 სამუშაო დღის ღირებულება, შესაბამისად, **0.2 ათასი ლარი** ზედმეტადაა ანაზღაურებული.

სატვირთო მიკროავტობუსს (სახელმწიფო ნომერი: CVC 439) 11 ნომბერს ანაზღაურებული აქვს თბილისში ნატოს დელეგაციის ბარგის გადაზიდვის დღიური თანხა 0.3 ათასი ლარი, მაშინ როდესაც დელეგაცია ბრიუსელის მიმართულებით გაემგზავრა საქართველოდან 10 ნომბერს და 11 ნომბერს ფიზიკურად შეუძლებელი იყო აღნიშნული მომსახურების გაწევა. აქედან გამომდინარე, **0.3 ათასი ლარი**, ზედმეტად ანაზღაურებული თანხაა.

ჯამში, შპს „ვესტ თრეველზე“ სატრანსპორტო მომსახურებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხა, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს **2.2 ათას ლარს**.

ბექდვითი და პოლიგრაფიული მომსახურება

2011 წლის 9-10 ნომბერს, საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებით ბექდვითი და პოლიგრაფიული მომსახურება შესყიდულია შპს „ლენ & კომპანისგან“. ხელშეკრულების (N325) თანხის კალკულაცია განხორციელდა შემსრულებლის მოწოდებული წინასწარი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ შპს „ლენ & კომპანის“ მიერ წარმოდგენილია და აპარატის მიერ, თავის მხრივ, ანაზღაურებული ისეთი სახის საქონლის მოწოდება და მომსახურების გაწევა (სულ 7.6 ათასი ლარი), რაც არ იყო გათვალისწინებული წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში და გაუგებარია რის საფუძველზე მოხდა ამ შემთხვევებში თანხის გაანგარიშება. კერძოდ:

ჩათვლით)		(ლარებში	დღგ-ს
საქონლის/მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის/მომსახურების ოდენობა	საქონლის/მომსახურების მთლიანი ღირებულება
მილკვადრატი პევეხას მიწებით	მ²	16	112
რკინის კონსტრუქცია დაბეჭდილი ბანერით	მ²	17.5	1 750
რკინის კარკასზე გადაკრული დროშები	მ²	18.2	1 820
კალამი	ცალი	500	1 875

ბანერი-სარეკლამო პლაკატი	მ²	56	1 960
სტიკერი ფოტოსესიისათვის	ცალი	40	60
ჯამი;			7 577

მომსახურების შესრულების დამადასტურებლად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთ პუნქტში, ერთეულზე ანაზღაურებულია შეთანხმებულ ოდენობაზე მეტი თანხა. მაგალითად:

➤ პოდიუმით მომსახურება, ქ. ბათუმი სასტუმრო „რედისონი“ - ორგანიზაციის პრეისკურანტი და წინასწარი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აღნიშნული ტიპის მომსახურების გაწევა შეფასებული იყო 1მ² - 140 ლარად, ხოლო შესრულება (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენილი და ანაზღაურებულია 1მ² - 210 ლარით. სულ 40 მ² ჯამური ღირებულებით 8.4 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით, სხვაობამ 1 მ²-ზე შეადგინა 70 ლარი - სულ 2.8 ათასი ლარი, რომელიც აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით ზედმეტად გადახდილი თანხაა.

5. მივლინების ხარჯები

2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდებში აპარატს გაწეული აქვს სულ 988.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი „მივლინების“ ქვემუხლით.

2011 წელი		2012 წელი	
ქვეყნის შიგნით	ქვეყნის გარეთ	ქვეყნის შიგნით	ქვეყნის გარეთ
26 917	486 037	36 405	438 838
512 954		475 243	

ქვეყნის შიგნით მივლინებების დროს, ცალკეულ შემთხვევაში იყო მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე დანამატების გაცემის ფაქტები, რასაც არ ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება³⁹.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებისას, ხშირ შემთხვევაში, შესაბამის ბრძანებებში არაა განსაზღვრული მივლინების მიზანი და აუცილებლობა. უმეტესად არაა წარმოდგენილი მოწვევები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რაც დაადასტურებდა ვიზიტის მნიშვნელობასა და საჭიროებას. მივლინებულ პირებს ასევე წარმოდგენილი არ აქვთ მივლინების პერიოდში

³⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

განხორციელებული შეხვედრებისა და ვიზიტის ფარგლებში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში.

აუდიტის პერიოდში მივლინებებისას გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯებმა 2011 წელს - 65.7 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს 55.3 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, საზღვარგარეთ მივლინებებისას ავანსად გაცემული თანხებიდან გახარჯულია 2011 წელს 64.5 ათასი ლარი და 2012 წელს - 54.5 ათასი ლარი. გაუგებარია, რის საფუძველზე წარმოებდა ასეთ შემთხვევებში წარმომადგენლობითი ხარჯების საჭიროებისათვის საავანსო თანხების კალკულაცია მაშინ, როდესაც არც ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი მივლინებებისას განხორციელებული შეხვედრებისა და იქ მიწვეული სტუმრების სია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავადასტურეთ ზემოთ აღნიშნული ხარჯების გაწევის საფუძვლიანობა და მიზნობრიობა.

აუდიტის პერიოდში საზღვარგარეთ მივლინებების დროს სახელმწიფო მინისტრის დაცვის ღონისძიებებზე აპარატმა სახელმწიფო სახსრებიდან გახარჯა 137.8 ათასი ლარი (2011წ. – 74.4 ათასი ლარი, ხოლო 2012წ. – 63.4 ათასი ლარი), მაგრამ ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა თანამდებობის პირისათვის დაცვის გამოყოფის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ჩვენ ვერ დავრწმუნდით აღნიშნული ხარჯების გაწევის კანონიერებაში.

2011 წლის მაისამდე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისათვის განსაზღვრული თანხების კონვერტაცია ხდებოდა კომერციული ბანკების კურსით, რაც ეწინააღმდეგება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნას⁴⁰, რომლის თანახმად, უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაციების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ეს ოპერაციები ხორციელდება. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად⁴¹, ოფიციალური გაცვლითი კურსი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვადასხვა ვალუტების მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის. სამივლინებო თანხების კონვერტაციის კურსის არასწორი გაანგარიშების გამო, ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მივლინებულ პირებზე ზედმეტად გაიცა 1.6 ათასი ლარი.

„მივლინების“ ქვემუხლით ზოგიერთ თანამშრომელზე აპარატის მიერ ხშირად ისეთი ხარჯებია დაფინანსებული, რომლებიც არაადეკვატურია სახელმწიფო დაწესებულების მიზნებთან (აშშ-ში, გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, მოლდოვასა და ბელგიაში მასაჟების, სპასალონებისა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში ჯამში გახარჯულია 6.2 ათასი ლარი. ასევე,

⁴⁰ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის - „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ N1321 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴¹ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი.

სასტუმროს ქვითრების თანახმად, „სხვა ხარჯები“ (გაუმიფრავი) ჯამში - 4,7 ათასი ლარი) და არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების საგანს. მაგალითად:

➤ 2012 წლის 10 მაისს, ბელგიაში სახელმწიფო მინისტრის მივლინებისას, ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ფიგურირებს ქ. ბრიუსელში (ბლანკესტრაატის ქ.N14) მდებარე მასაჟის დაწესებულება INTERDIT-ში გახარჯული თანხები - 1.3 ათასი ლარი (600 ევრო) და 0.6 ათასი ლარი (300 ევრო). იგივე დაწესებულებაში (INTERDIT) 2011 წლის 25 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრის მიერ სამივლინებო თანხებიდან გახარჯულია 0.2 ათასი ლარი (100 ევრო) და 0.3 ათასი ლარი (150 ევრო).

➤ უკრაინის დედაქალაქ კიევში მივლინებისას (სახელმწიფო მინისტრი), 2012 4 თებერვალს ღამის ბარ just cafe-ში გადახდილია სულ 1.9 ათასი ლარი (8877 გრივნა), მათ შორის ქვითრის მიხედვით, 4 გოგონას შეყვანის („вход (девушки)“) ღირებულება 0.1 ათასი ლარი (400 გრივნა) და 9 ცალი წითელი ვარდის შეძენა - 0.1 ათასი ლარი (250 გრივნა).

არის შემთხვევები, როდესაც მივლინებულ პირზე ანაზღაურებულია ფაქტობრივად წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე მეტი თანხა.

ჯამში, „მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით გახარჯული სახსრებიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ნორმების დარღვევისა და არასაბიუჯეტო ხარჯების საბიუჯეტო სახსრებით არამიზნობრივად ანაზღაურების გამო ზედმეტად გადახდილმა თანხებმა შეადგინა **24.6 ათასი ლარი**.

გარდა ამისა, საზღვარგარეთ მივლინებებისას აპარატის მიერ ანაზღაურებულია სახელმწიფო მინისტრის ვიზიტების ვიდეოკამერით გადაღების ხარჯები 9.6 ათასი ლარი (რაც არ არის გათვალისწინებული „მივლინების ხარჯებში“ პრეზიდენტის ბრძანებულებით), რის დამადასტურებლადაც აპარატის მიერ ვერ იქნა შესაბამისი ვიდეომასალა მოწოდებული.

„მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით ცენტრის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა 2011 წელს 13.9 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს 8.2 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არაა დაცული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ქვეყნის ფარგლებს შიგნით განხორციელებული მივლინებებისას ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი სასტუმროს ინვოისი და ქვითარი, მაგრამ თანხა ანაზღაურებულია ანგარიშვალდებულ პირზე. ჯამში, ცენტრის მიერ „მივლინების ხარჯების“ ქვემუხლით ზედმეტად გადახდილმა თანხებმა **0.7 ათასი ლარი** შეადგინა.

წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან აპარატის მიერ გაწეულმა საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა 2011 წელს შეადგინა 332.7 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 157.9 ათასი ლარი.

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება აუდიტის პერიოდში აპარატსა და ცენტრის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების უმრავლესობა. კერძოდ, ამ დოკუმენტებში (ბრძანება, ჩეკი, მენიუ, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვ.) ძირითადად მითითებულია მხოლოდ გაწეული ხარჯის ზოგადი არსი. აპარატის ხელმძღვანელობის მიერ გამოცემულ ბრძანებაში არ არის დაკონკრეტებული სტუმრების ვინაობა, სტუმრების რაოდენობა, რაც სხვა მტკიცებულებებთან ერთად მოგვცემდა რწმუნებას ხარჯის მიზნობრივად და ეკონომიურად გაწევის შესახებ. მაგალითად:

- 2011 წლის N2011/210 ხელშეკრულების საფუძველზე, მე-8 საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის განთავსებისა და საკონფერენციო მომსახურების მიზნით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 20.9 ათასი ლარი. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი სტუმრების რაოდენობა და დღეების მიხედვით გასაწევი სასტუმრო და საკონფერენციო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა. წარმოდგენილია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა მთლიან თანხაზე.
- მე-8 საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ევროპული გზა“ გახსნის მიზნით სტუმრებისათვის ვახშმის უზრუნველსაყოფად 2011 წლის 21 ივლისს მიმწოდებელთან გაფორმდა N2011/215 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 11.3 ათასი ლარი. აღნიშნულ შემთხვევაში არც ბრძანება და არც მის საფუძველზე გაწეული ხარჯების დოკუმენტები არ შეიცავს მონაცემებს სტუმრების რაოდენობის შესახებ. წარმოდგენილია მხოლოდ ანგარიშფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი ჯამურ თანხაზე.
- „ევროკავშირ-აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი ფორუმის გამართვასთან დაკავშირებით, 2012 წელს გაფორმდა N2012/110 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 16.4 ათასი ლარი. წარმოდგენილია ჩეკი, რომელშიც აღნიშნულია 23 მარტს მომსახურების გაწევა 140 კაცზე (მოცეკვავეები, მუსიკოსები, ოპერატორები - 1.7 ათასი ლარი, რესტორნის მომსახურება -14.7 ათასი ლარი, ჯამში - 16.4 ათასი ლარი). სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 21 მარტის N36 ბრძანებით (ღონისძიებისთვის წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯების გაწევის შესახებ) არ არის განსაზღვრული მოწვეული სტუმრების რაოდენობა და ვინაობა.

- საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებით N 2011/292 ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებისთვის მიმწოდებლისთვის ანაზღაურებულ იქნა 82.5 ათასი ლარი. არ არის წარმოდგენილი წინასწარი ხარჯთაღრიცხვა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა. წარმოდგენილია მხოლოდ გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიში. ამ ანგარიშის მიხედვით, ანაზღაურებულია „გაუთვალისწინებელი ხარჯი“- **2.0 ათასი ლარის** ოდენობით, რომელიც დეტალურად არ არის ჩაშლილი შესრულებული სამუშაოებისა და მიღებული მომსახურების სახეობების მიხედვით, შესაბამისად, გაწეული ხარჯის რეალობა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ დასტურდება და მიმწოდებლისთვის ანაზღაურებული თანხა - **2.4 ათასი ლარის** (დღგ-ს ჩათვლით) ოდენობით, არის ზედმეტად გადახდილი.
- სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით, აპარატის მიერ 2011 წელს გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5.4 ათასი ლარი, მათ შორის, ქ. ბათუმში, 21-24 ივლისს, ჯაზფესტივალზე დასასწრები ბილეთების შესაძენად N2011/213 ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 4.0 ათასი ლარი (შემენილია 21 ივლისს 30 ბილეთი, თითო - 40 ლარის ღირებულების, 22 ივლისს - 35 ბილეთი, თითო - 40 ლარის ღირებულების, 23 ივლისს - 10 ბილეთი, თითო - 60 ლარის ღირებულების და 24 ივლისს - 9 ბილეთი, თითო - 90 ლარის ღირებულების). ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რაც მოგვცემდა მოწვეული სტუმრების ვინაობისა და მათზე გაწეული ხარჯების რეალობის რწმუნებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის 30 ივნისის N151 ბრძანება ითვალისწინებს 2011 წლის 21-23 ივლისს დაგეგმილი მე-8 საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში ღონისძიების ორგანიზებასა და ფინანსურ უზრუნველყოფას. ამის მიუხედავად, ღონისძიების დამთავრების შემდეგ, 24 ივნისს, შემენილია 0.8 ათასი ლარის ღირებულების ბილეთი, რომელთა შემენის აუცილებლობა ვერ იქნა დადასტურებული და წარმოადგენს ზედმეტად გაწეულ ხარჯს.
- კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 22 მარტის N-2012/111 ხელშეკრულების საფუძველზე, ფიზიკურ პირს აუნაზღაურდა 0.5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ არც ერთ დოკუმენტში, ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში, არ არის მითითებული კონკრეტულად რა სახის მომსახურება იქნა აპარატის მიერ მიღებული, რაც მოგვცემდა აზრის გამოთქმის საშუალებას გაწეული ხარჯის მიზნობრიობის შესახებ.
- 2011 წლის 22 ივნისის N148 ბრძნების საფუძველზე, 1-5 ივლისს უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ბათუმში ვიზიტის ფარგლებში,

კულტურული ღონისძიებების უზღუნველყოფის მიზნით, შპს „ისტერნ პრომოუშენისგან“ შეძენილ იქნა 2.3 ათასი ლარის ღირებულების კონცერტის ბილეთი. არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა). შესაბამისად, ვერ დგინდება გაწეული მომსახურების რეალობა, შეძენილი ბილეთების რაოდენობა და გადახდილი თანხის შესაბამისობა ბაზარზე არსებულ ფასებთან.

- სახელმწიფო მინისტრის 2011 წლის 2 თებერვლის N25 და 2011 წლის 30 დეკემბრის N232 ბრძანებების საფუძველზე აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეძენილია შემდეგი დასახელებების საქონელი: სასმელი, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები, სასაჩუქრე ნივთები (სუვენირები), კვების პროდუქტები და სხვა საქონელი. აღსანიშნავია, რომ აპარატის მიერ არ ხდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა (მაგალითად, უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი აქტი და სხვ.) რომლის საშუალებითაც დადასტურდებოდა შესაბამისი საქონლის, საჩუქრების (სუვენირების) და სხვადასხვა ნივთის გახარჯვის ან კონკრეტულ პირებზე მათი გადაცემის ფაქტი. ასეთი სახით სულ შეძენილია და გახარჯულია 2011 წელს - 68.8 ათასი ლარის, ხოლო 2012 წელს - 55.9 ათასი ლარის ღირებულების საქონელი.
- უკრაინის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებული საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 12 მარტის N30 ბრძანებით დაევალა აპარატს, სახელმწიფო მინისტრის 15-16 მარტს გუდაურში მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯის სრულად ანაზღაურება. წარმოდგენილია შპს „გუდაური სქი რესორტის“ მიერ 17 მარტით დათარიღებული PRO-FORMA ინვოისი, რომლის მიხედვით ერთი ღამით სასტუმრო ნომრის ღირებულება ანაზღაურებულია - 4.5 ათასი ლარით, რაც შეუსაბამისობაშია ამავე სასტუმროში დადგენილ ტარიფებთან, რომლის მიხედვით, ერთ დღე-ღამეში სასტუმრო ნომრით მომსახურების მაქსიმალური ღირებულება (საპრეზიდენტო ნომერი) შეადგენს 1.8 ათას ლარს.

ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და წარმომადგენლობითი ხარჯები

ცენტრი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმების შედგენის გარეშე⁴². ამასთან, არ ახდენს სააგენტოში შესაბამისი ანგარიშების წარდგენას⁴³.

⁴² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

⁴³ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N2 ბრძანების მე-5 მუხლი.

2011 წელს, ცენტრის მიერ წიგნების ბეჭდვის, კორექტირების, რედაქტირებისა და ფერთა დამლის მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა მომწოდებელთან მონეტარული ზღვრების დარღვევით⁴⁴ გაფორმდა ხელშეკრულებები 21.7 ათას ლარზე, ხოლო თარგმნითი მომსახურების მიღების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 2.0 ათასი ლარი, სულ ჯამში - 23.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების უმრავლესობა გაფორმებულია ერთი და იმავე თარიღით. აღსანიშნავია, რომ საცნობარო ლიტერატურის კორექტირებაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია და შესაბამისი თანხები ანაზღაურებულია 3 ფიზიკური პირისთვის:

- გულნარა შოშიტაიშვილი - 1250 ლარი;
- ნინო გაჩეჩილაძე - 500 ლარი;
- ეკატერინე სამადაშვილი - 4200 ლარი.

აქედან, მხოლოდ გულნარა შოშიტაიშვილია მოხსენიებული საცნობარო ლიტერატურის („საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“) სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში, როგორც ქართული ვერსიის კორექტორი, ხოლო ფიზიკური პირები ნინო გაჩეჩილაძე და ეკატერინე სამადაშვილი არც ერთი გამოცემული წიგნის („საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“ - ქართული და ინგლისური ვერსიები) კოლეგიის წევრთა შემადგენლობაში არ არიან მითითებული, როგორც კორექტორები. ამდენად, ზემოთ აღნიშნული მომსახურების გაწევა (თანხებით 0,5 ათასი ლარი და 4.2 ათასი ლარი) არ დასტურდება და 4.7 ათასი ლარი ზედმეტადაა ანაზღაურებული საბიუჯეტო სახსრებიდან.

ცენტრს 2011 წელს სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების (გაყინული ქათამი, ძეხვეული, კვერცხი, ტკბილეული, რძის პროდუქტები და ა.შ.) შეძენის მიზნით სს „პოპულთან“ გაფორმებული აქვს 3 ხელშეკრულება (NN3,11,45) საერთო ღირებულებით - 8.1 ათასი ლარი, რაც მთლიანადაა ანაზღაურებული. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია 7.8 ათას ლარზე, ანუ 0.3 ათასი ლარით ნაკლებ თანხაზე. აღნიშნული ხარჯები გაწეულია „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით. დოკუმენტაციის შესწავლამ გამოავლინა, რომ განხორციელებული შესყიდვა თავისი არსით, მიწოდებული პროდუქციის სპეციფიკითა და მისი რეგულარული ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კვების ხარჯს. ვინაიდან „კვების ხარჯების“ ქვემუხლი ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული ტიპის დაწესებულებების მიერ გასაწევ ხარჯებს⁴⁵, ცენტრი არ იყო უფლებამოსილი საბიუჯეტო სახსრები

⁴⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 672 2010 წლის 25 აგვისტო „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ :აღნიშნული კატეგორია მოიცავს ზაგა-ზაღებში, საზაგა-ზაღებში, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამხედრო მოსამსახურეთა და პოლიციელთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და წინასწარი დაკავების იზოლატორებში კვებასთან დაკავშირებული ხარჯებს, შრომის მავნე პირობებში სამუშაოებისათვის სპეციალურ

გამოყენებინა ზემოთ აღნიშნული დანიშნულებით. შესაბამისად, 8.1 ათასი ლარის ხარჯი, თავისი არსით, უკანონო ხარჯიცაა.

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს შპს „სარაჯიშვილებთან“ გაფორმებული N60 ხელშეკრულების საფუძველზე (პარკების დამზადება, კალმებზე ბეჭდვა) გადახდილმა თანხამ შეადგინა სულ 3.9 ათასი ლარი, მათ შორის, აპარატის მიერ შეძენილ იქნა 455 პოლიეთილენის პარკი, ერთეულის ღირებულებით - 5.6 ლარი. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მისაღები საქონლის აღწერილობა, როგორც ვიზუალური, ასევე მისი პარამეტრების მხრივ. ვინაიდან ცენტრის მიერ ვერც შეძენილი პარკი იქნა წარმოდგენილი, მოკლებული ვართ შესაძლებლობას გამოვთქვათ აზრი მის საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობაზე. ამასთან, აპარატის მიერ ვერ იქნა განმარტებული ამ ღირებულების საქონლის შეძენის აუცილებლობა.

შპს „ოპ არტთან“ 2011 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილ იქნა 16.4 ათასი ლარის ღირებულების 33 მაგიდა, მათ შორის, 11.2 ათასი ლარის ღირებულების 18 მაგიდა საინფორმაციო ცენტრის დირექტორის 30 ნოემბრის N62 ბრძანების საფუძველზე გადაეცა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს“, შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დარღვევით, რადგან: „სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს თავის სარგებლობაში არსებული ქონების გადაცემის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით“⁴⁶, რომელიც ცენტრმა ვერ წარმოადგინა.

2011 წლის 15 ივნისის N35 ხელშეკრულების თანახმად, ასოციაცია „ათინათი“ ვალდებულია იღებდა, ცენტრის ანაზღაურებით 3 თვის განმავლობაში მოემზადებინა 10 სტუდენტი, რისთვისაც გადახდილ იქნა 1.8 ათასი ლარი. ხარჯის გაწევის გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიზნით, ცენტრს კონკურსი არ გამოუცხადებია, ასევე ვერ იქნა განმარტებული სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები და შერჩეულთა ვინაობა.

2012 წლის 6 თებერვალს შპს „დი-ჯი-ენ ტექნოლოჯიკსთან“ გაფორმებულია N11 ხელშეკრულება ინტერნეტ-სელის მომსახურებასთან დაკავშირებით. ცენტრის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთაც ახლავს მხოლოდ დამკვეთის ბეჭედი და ხელმოწერები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხელშეკრულების პირობების თანახმად, 1

კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაღალმთიან და მწვანეთში ადგილებში მომუშავეთა სპეციალურ კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სისხლის დონორების, სპორტული შეჯიბრებებისა და შეკრებების მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამსახურებრივი მალეებისა და ცხენების, აგრეთვე საცდელი ცხოველების კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს - სამედიცინო დაწესებულებებში.

⁴⁶ „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბერი N 302 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

თვის მომსახურების თანხა შეადგენდა 300 ლარს. მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2012 წლის 6 თებერვლიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი. ამის მიუხედავად, მთლიანმა ანაზღაურებულმა თანხამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეადგინა 3.6 ათასი ლარი (12 თვეზე კალკულაციით). ცენტრის მიერ „დი-ჯი-ენ ტექნოლოჯიქსისაგან“ მისაღები მომსახურების შესაძლებელი მაქსიმალური პერიოდი შეადგენდა 10 თვესა და 23 დღეს. აქედან გამომდინარე, დამკვეთის მიერ ზედმეტადაა გადახდილი იანვრის თანხა და თებერვლის პირველი 6 დღის ანაზღაურება, ჯამში **0.4 ათასი ლარი** ($300+300/29*6$).

2011 წლის 28 ნოემბერს, სტუმრებისათვის 7 ერთეული ავიაბილეთის შეძენის მიზნით, შპს „ეს სი თრეველთან“ გაფორმდა N78 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 6.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული თუ რა მიმართულების ავიაბილეთების მიწოდება უნდა განეხორციელებინა შემსრულებელს, მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში კი აღნიშნულია მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ. ცენტრის მიერ, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა იმ პირთა ვინაობის დადგენა, რომელთაც ავიაბილეთები გადაეცათ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ვიძლევიტ დასკვნას გაწეული ხარჯების ეკონომიურობასა და მიზნობრიობაზე.

გ) საწვავის ხარჯი

სააუდიტორო პერიოდში საწვავის გაცემა წარმოებდა სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით დადგენილი ლიმიტებით (გარდა სახელმწიფო მინისტრზე მიმაგრებული ავტომანქანისა), ელექტრონული ბარათების საშუალებით და წლის დასაწყისში საწვავის ტალონებით.

აპარატში არ წარმოებდა, სპიდომეტრის ჩვენების მიხედვით, ავტომანქანების მიერ გავლილი კილომეტრაჟის აღრიცხვა. საწვავის ხარჯებში ჩამოწერა ხორციელდებოდა თითოეული ავტომანქანისთვის, კომპანიის მიერ ლიმიტის ფარგლებში შევსებული საწვავის მიხედვით.

საწვავის ფაქტობრივი ხარჯის შესწავლით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, კერძოდ: 2011-2012 წლებში აპარატის ხელმძღვანელობის მიერ დაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად საწვავის ფაქტობრვმა ხარჯმა, 2011 წელს შეადგინა 41.7 ათასი ლარი (20.0 ათასი ლიტრი), ხოლო 2012 წელს- 35.1 ათასი ლარი (15.8 ათასი ლიტრი), ჯამში 76.8 ათასი ლარი (35.8 ათასი ლიტრი). სახელმწიფო მინისტრს ემსახურებოდა 4 ავტომანქანა, რომელთაგან ერთი იყო პირადად მინისტრის განკარგულებაში, ხოლო 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა მინისტრის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველიც

აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც, ჩვენ ვერ დავრწმუნდით აღნიშნული ხარჯების გაწევის კანონიერებაში.

გარედა ამისა, მეტი თვალსაჩინოებისთვის, აუდიტის ჯგუფის მიერ გაანალიზდა სახელმწიფო მინისტრისა და დაცვის ავტომანქანის გარბენის საშუალო დღიური მაჩვენებელი. აღნიშნულის გასაანგარიშებლად, აუდიტის ჯგუფის მიერ დადგინდა სახელმწიფო მინისტრის საქართველოში ყოფნის პერიოდი (მივლინების დღეების გამოკლებით) და დადგინდა საწვავის საშუალო დღიური ხარჯი. ასევე, დადგენილ იქნა ავტომანქანების მარკის მიხედვით, საწვავის საშუალო შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (მონაცემები აღებულია ავტომანქანების ტექნიკური მახასიათებლების ამსახველი კატალოგებიდან და ავტომწარმოებლების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან)⁴⁷ და ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ იქნა დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი. აღნიშნული მეთოდი, შესაბამისად, გავრცელდა დაცვისთვის განკუთვნილ ა/მანქანებზეც, ხოლო მიღებული შედეგი წარმოდგენილი იქნა ცხრილის სახით.

სახელმწიფო მინისტრი (LEXUS LX 470 (2007წ)) მანქანის მიერ დღეში საშუალო გარბენი

2011 წელი	კალენდარული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის დღეები	სხვაობა (2-3)	სულ ბენზინის 1 ლიტრის ხარჯი	ერთი დღის საშუალო ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (LEXUS LX 470 (2007წ.))	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	8	23	755.3	32.8	15.0	218.8
თებერვალი	28	13	15	555	37.0	15.0	246.5
მარტი	31	6	25	651	26.0	15.0	173.5
აპრილი	30	9	21	627	29.9	15.0	198.9
მაისი	31	19	12	434	36.2	15.0	241.0
ივნისი	30	12	18	749	41.6	15.0	277.2
ივლისი	31	13	18	750	41.7	15.0	277.6
აგვისტო	31	6	25	750	30.0	15.0	199.9
სექტემბერი	30	23	7	458	65.4	15.0	435.9
ოქტომბერი	31	2	29	726	25.0	15.0	166.8
ნოემბერი	30	19	11	408	37.1	15.0	247.1
დეკემბერი	31	5	26	886	34.1	15.0	227.0
სულ:				7749.3	36.4	15.0	242.5

2011 წელს სახელმწიფო მინისტრზე მიმავრებული ავტომანქანა TOYOTA LandCruizer-200 (სახელმწიფო სანომრე ნიშნით - MAI 207), დღის განმავლობაში, საშუალო წლიური მონაცემიდან გამომდინარე, გადიოდა 243 კილომეტრს, საიდანაც სექტემბერში დღიურმა გარბენმა საშუალოდ შეადგინა 436 კმ.

⁴⁷ <http://auto.ru/>; <http://www.mobile.de/>; <http://www.myauto.ge/>;

დაცვის მანქანა (TOYOTA LandCruiser 105 (2007 წ.))

2011 წელი	კალენდ არული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინება ში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინი ს თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვთვის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (TOYOTA LandCruiser 105 (2007 წ.))	დღის განმავლობა ში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	8	23	965	41.96	11.1	377.99
თებერვალი	28	13	15	714	47.60	11.1	428.83
მარტი	31	6	25	1020	40.80	11.1	367.57
აპრილი	30	9	21	775	36.90	11.1	332.48
მაისი	31	19	12	750	62.50	11.1	563.06
ივნისი	30	12	18	1050	58.33	11.1	525.53
ივლისი	31	13	18	1050	58.33	11.1	525.53
აგვისტო	31	6	25	1050	42.00	11.1	378.38
სექტემბერი	30	23	7	696	99.43	11.1	895.75
ოქტომბერი	31	2	29	1050	36.21	11.1	326.19
ნოემბერი	30	19	11	801	72.82	11.1	656.02
დეკემბერი	31	5	26	1237	47.58	11.1	428.62
სულ:				11158	53.70	11.1	483.83

იმავე 2011 წელს, დაცვის ერთ-ერთი ავტომანქანის მიერ (TOYOTA Land Cruiser 105 - სახელმწიფო სანომრე ნიშნით - DRD 772), გავლილმა კილომეტრაჟმა დღეში საშუალოდ შეადგინა 484 კმ, რაც 99%-ით მეტია სახელმწიფო მინისტრზე მიმაგრებული ავტომანქანის მიერ გავლილ მანძილზე. აქედან, სექტემბერში გავლილმა მანძილმა შეადგინა 896 კმ/დღეში, მაისში - 563კმ/დღეში, ივნისსა და ივლისში - 526კმ/დღეში, რაც შესაბამისად 105%, 134% და 89 %-ით მეტია სახელმწიფო მინისტრზე მიმაგრებული ა/მანქანის მიერ გავლილ მანძილზე. დაცვის სხვა დანარჩენი ორი ა/მანქანის (სახელმწიფო სანომრე ნიშნებით: DRD771 და TQT240) საშუალო გარბენმა 219 კმ/დღეში და 181კმ/დღეში შეადგინა, რაც სახელმწიფო მინისტრზე მიმაგრებული ავტომანქანის მიერ წლის განმავლობაში საშუალო დღიური გარბენის, შესაბამისად, 89% და 72 % შეადგენს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დაცვა (Land Cruiser 200 (2008 წ.)

2011 წელი	კალენდარული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლი ნებაში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (LandCruiser 200 (2008 წ.)	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	8	23	607	26.4	14.4	183.3
თებერვალი	28	13	15	500	33.3	14.4	231.5
მარტი	31	6	25	600	24.0	14.4	166.7
აპრილი	30	9	21	500	23.8	14.4	165.3
მაისი	31	19	12	540	45.0	14.4	312.5
ივნისი	30	12	18	480	26.7	14.4	185.2
ივლისი	31	13	18	220	12.2	14.4	84.9
აგვისტო	31	6	25	469	18.8	14.4	130.3
სექტემბერი	30	23	7	503	71.9	14.4	499.0
ოქტომბერი	31	2	29	583	20.1	14.4	139.6
ნოემბერი	30	19	11	600	54.5	14.4	378.8
დეკემბერი	31	5	26	569	21.9	14.4	152.0
სულ:				6171.0	31.5	14.4	202.8

დაცვა (TOYOTA Corolla (2008 წ.)

2011 წელი	კალენდარული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (TOYOTA Corolla* (2008 წ.)	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	8	23	200	8.7	7.5	115.9
თებერვალი	28	13	15	237	15.8	7.5	210.7
მარტი	31	6	25	135	5.4	7.5	72.0
აპრილი	30	9	21	138	6.6	7.5	87.6
მაისი	31	19	12	239	19.9	7.5	265.6
ივნისი	30	12	18	237	13.2	7.5	175.6
ივლისი	31	13	18	219	12.2	7.5	162.2
აგვისტო	31	6	25	404	16.2	7.5	215.5
სექტემბერი	30	23	7	198	28.3	7.5	377.1
ოქტომბერი	31	2	29	167	5.8	7.5	76.8
ნოემბერი	30	19	11	261	23.7	7.5	316.4
დეკემბერი	31	5	26	199	7.7	7.5	102.1
სულ:				2634	13.6	7.5	181.44

2011 წელს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით დადგენილი ლიმიტის ზევით გაწეულ იქნა 207 ლიტრი საწვავის ხარჯი, საერთო ღირებულებით - 0.4 ათასი ლარი, მათ შორის, TOYOTA LandCruiser 105 (სახელმწიფო საწვავით - DRD 772) მიერ დეკემბრის თვეში 187 ლიტრი, ხოლო OPEL Vectra-ს (სახელმწიფო საწვავით - AEB 163) მიერ იანვარში - 20 ლიტრი.

2012 წლის ივნისში, სახელმწიფო მინისტრზე მიმავრებული ავტომანქანის (სახელმწიფო საწვავით - FCF 778) გარბენმა ივლისში საშუალოდ დღეში 735 კმ შეადგინა, სექტემბერში - 553 კმ (სახელმწიფო საწვავით - FCF327), ხოლო საშუალო წლიური გარბენი დღეში შეადგენდა 354 კმ-ს. დაცვის ავტომანქანების (სახელმწიფო საწვავით - DRD 772) საშუალოდ წლიურმა გარბენებმა დღეში შეადგინა 236 კმ, 271 კმ და 394 კმ (შესაბამისად 83%, 84% და 133%), საიდანაც, იანვარში დაცვის ავტომანქანას (TOYOTA LandCruiser 200 - DRD771) სახელმწიფო მინისტრზე მიმავრებული მანქანის გარბენის ორმაგი ოდენობა აქვს გავლილი, კერძოდ, 310 კილომეტრი დღეში. მარტში, მაშინ როდესაც სახელმწიფო მინისტრი ქვეყნის გარეთ მივლინებაში იმყოფებოდა, 19 დღის განმავლობაში ამავე მანქანის დღიურმა საშუალო გარბენმა 607 კმ შეადგინა და მინისტრის ავტომანქანის გარბენს 71%-ით გადააჭარბა.

სახელმწიფო მინისტრების (TOYOTA LandCruiser 200 (2011 წ.) ავტომანქანის გარბენი

2012 წელი	კალენდარიული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (TOYOTA LandCruiser 200 (2011 წ.)	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	4	27	610	22.6	14.64	154.3
თებერვალი	29	8	21	682	32.5	14.64	221.8
მარტი	31	19	12	623	51.9	14.64	354.6
აპრილი	30	16	14	720	51.4	14.64	351.3
მაისი	31	17	14	750	53.6	14.64	365.9
ივნისი	30	8	22	1432	65.1	14.64	444.6
ივლისი	31	17	14	1507	107.6	14.64	735.3
აგვისტო	31	1	30	580	19.3	14.64	132.1
სექტემბერი	30	13	17	930	54.7	9.9	552.6
ოქტომბერი	31	6	25	646	25.8	9.9	261.0
ნოემბერი	30	14	16	749	46.8	11.1	421.7
დეკემბერი	31	4	27	790	29.3	11.1	263.6
სულ:				10019			354.9

2012 წლის განმავლობაში, სახელმწიფო მინისტრებზე მიმავრებული იყო 3 ავტომანქანა, კერძოდ: სექტემბრამდე TOYOTA LandCruiser 200 (სახელმწიფო

სანომრე ნიშნით - FCF 778), ნომბრამდე TOYOTA Camry (სახელმწიფო სანომრე ნიშნით - FCF 327), ნომბრისა და დეკემბერში Lexus LS460 (სახელმწიფო სანომრე ნიშნით - LYL 767), საიდანაც ა/მანქანა TOYOTA Camry (სახელმწიფო სანომრე ნიშნებით - FCF-327), სექტემბერსა და ოქტომბერში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბალანსზე არ ირიცხებოდა და მასზე ამ პერიოდში გაცემულ იქნა 1576 ლიტრი საწვავი, რომლის ღირებულებამ 3.5 ათასი ლარი შეადგინა.

დაცვა (TOYOTA LandCruiser 200 (2008 წ.)

2012 წელი	კალენდარული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (TOYOTA LandCruiser 200 (2008 წ.)	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	4	27	1205	44.6	14.4	309.9
თებერვალი	29	8	21	867	41.3	14.4	286.7
მარტი	31	19	12	1049	87.4	14.4	607.1
აპრილი	30	16	14	1003	71.6	14.4	497.5
მაისი	31	17	14	940	67.1	14.4	466.3
ივნისი	30	8	22	921	41.9	14.4	290.7
ივლისი	31	17	14	949	67.8	14.4	470.7
აგვისტო	31	1	30	950	31.7	14.4	219.9
სულ:				7884	56.7	14.4	393.6

დაცვა (LEXUS LX 470 (2007 წ.)

2012 წელი	კალენდარული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (LEXUS LX 470 (2007 წ.)	დღის განმავლობაში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	4	27	740	27.41	15.01	182.59
თებერვალი	29	8	21	580	27.62	15.01	184.00
მარტი	31	19	12	599	49.92	15.01	332.56
აპრილი	30	16	14	600	42.86	15.01	285.52
მაისი	31	17	14	710	50.71	15.01	337.87
ივნისი	30	8	22	750	34.09	15.01	227.12
ივლისი	31	17	14	373	26.64	15.01	177.50

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აგვისტო	31	1	30	736	24.53	15.01	163.45
სულ:				5088	35.47	15	236.48

დაცვა (TOYOTA COROLLA (2008წ))

2012 წელი	კალენდარი რული დღეები	ქვეყნის გარეთ მივლინებ აში ყოფნის დღეები	სხვაობა	სულ ბენზინის თვის ხარჯი	ერთ დღეზე ხარჯი	საწვავის შერეული ხარჯი 100 კმ-ზე (TOYOTA COROLLA (2008წ))	დღის განმავლობ აში საშუალოდ გავლილი მანძილი (კმ)
1	2	3	4	5	6	7	8
იანვარი	31	4	27	294	10.9	7.5	145.2
თებერვალი	29	8	21	456	21.7	7.5	289.5
მარტი	31	19	12	332	27.7	7.5	368.9
აპრილი	30	16	14	360	25.7	7.5	342.9
მაისი	31	17	14	485	34.6	7.5	461.9
ივნისი	30	8	22	353	16.0	7.5	213.9
ივლისი	31	17	14	338	24.1	7.5	321.9
აგვისტო	31	1	30	231	7.7	7.5	102.7
სულ:				2849	21.0	7.5	280.86

2012 წლის აგვისტოდან დაცვის ავტომაქსებზე ხარჯი არ გაიწეოდა (გადაეცა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს). 2012 წელს საწვავზე აპარატში დადგენილ ლიმიტებს ზევით გაწეულ იქნა 305 ლიტრი საწვავის ხარჯი (ღირებულება - 0.7 ათასი ლარი), მათ შორის, TOYOTA LandCruiser 200-ის (სახელმწიფო სანომრე ნიშნებით - FCB 778) მიერ იანვარში 155 ლიტრი, ხოლო OPEL Vectra-ს (სახელმწიფო სანომრე ნიშნებით - AEB 163) მიერ იანვარში 150 ლიტრი.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო მინისტრის საქართველოში არყოფნისას, როგორც მინისტრის, ასევე დაცვის მანქანები გასწევდნენ საწვავის ფაქტობრივ ხარჯს, რასაც ცხადყოფს მითითებული მანქანების საშუალო დღიური გარბენის მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მინისტრის მიერ დადგენილი მაღალი ლიმიტები და მანქანების მოძრაობაზე კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

ფასიანი საჩუქრით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N233 ბრძანებით, აპარატის 24 თანამშრომელი 2011 წლის შედეგების მიხედვით, სამსახურებრივი

მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა, რომელთაგან 10 თანამშრომელს გადაეცა ფოტოაპარატი, ხოლო 14 თანამშრომელს - IPOD TOUCH 8 GB. ვერ იქნა წარმოდგენილი თანამშრომლებისთვის ჯილდოს გადაცემის უწყისი, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ რომელ თანამშრომელს რა ღირებულების საჩუქარი გადაეცა ჯილდოდ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო შეღავათი არ არის გათვალისწინებული დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის საჩუქრის გადაცემის ან დაჯილდოების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, გადაცემული ჯილდოს ღირებულება, საერთო ღირებულებით 10.8 ათასი ლარი, თითოეული მიმღების მიხედვით უნდა დაბეგრლიყო საშემოსავლო გადასახადით, ხოლო საშემოსავლო გადასახადი 2.2 ათასი ლარის ოდენობით, უნდა გადარიცხულიყო ბიუჯეტში.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, აპარატისა და ცენტრის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი აუდიტორი



ნესტან ჯანელიძე 29.05.14 წ.

აუდიტორი



პაპუნა ხოფერია 29.05.14 წ.

აუდიტორი



შალვა ჯავახიშვილი 29.05.14 წ.